

ლიტერატურული გაზეთი

№24 (376) 20 დეკემბერი 2024 - 16 იანვარი 2025

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

ბექა ახალაია

ნაკროლოგი

წუხელ ღამით,
გამთენიისას, მოულოდნელად გარდაიცვალა
შენი ერთ-ერთი საიმედო და
ერთგული, ერთგული მკითხველი.

ისე მაგრად —
ისე ძალიან — განიცადე და ისე გეწყინა,
თითქოს ოჯახის ძვირფასი წევრი
დაკარგე — დაგეკარგოს.

დარჩა ქმარი,
შვილები (ორი), შვილიშვილი და კარგი სახელი,
ასევე — წიგნის უშველებელი
კარადა პირთამდე სავსე და,

ერთ თაროზე,
მიყოლებით და გამოსაჩენად მიყუდებული —
პირველ გვერდებზე შენი წარწერით —
შენივე კრებულები.

IV-V

ნინო დარბაისელი

კომპარატიდან

გამოელვია მუმიას, ვერ დაინახა იგი,
ვინც უკვდავების მისისა ითავა თადარიგი.
თვით მოკვდა, როგორც მრავალი, იქცა ბალახად, ფერფლად,
ვინც სიკვდილს არ ანებებდა; სურდა, იმედად ეფლა.
ვინც მის სარკოფაგს ავლებდა ამოუკითხავ ხაზებს,
ვინც მოცახცახე სიტყვებით ხაოდა ბოლო ხმაზე:

„გაბარებ, რომ სიყვარული სამარადისოდ დაფლო,
შენ — უძლეველო მარილო, მარად უხრწნელო თაფლო!“

გამოილვია მუმიამ,
ადრე — ნალოკმა მძლოკვთა,
ამბავი მისი ფერადად იცინა კატალოგთა.
ირგვლივ გაფითრდა ყოველი,
ზარი რეკდა და როკდა.
შეძრული მუზეუმი,
კომპარი არ დაოკდა!
რომ ველარ იცნო ვერავინ.
უკვე ნამდვილად მოკვდა!

VIII-IX

გიო ზედვაკელი

გადასარევი ამინდია

გადასარევი ამინდია! წავალ, მოვიკლავ
თავს ანდა წყურვილს, მონატრების წყურვილს —
შენ სახლთან,
სადაც დიდი ხნით უჩემობა ჩემი შესახლდა,
ვიყვირებ, ღმერთი ხომ გაიგებს! ჩემო მონიკა.
როგორც მე ვიცი, არ ლოცულობს მამა თვითმკვლელი
პოეტებისთვის. ასეთია ზეცის კანონი.
სანამდე ცას და მიწას შუა გამომიკვლევენ
და ჩემი სულის მსაჯულები მზეზე გამოვლენ —
მე შეყვარები ჩემებური გრძნობით, გაგებით,
ვიდრე სამყაროს უფსკრულებში ჩავიკარგები.

დაე, სჯეროდეთ,
შენც გჯეროდეს, რომ მე მკვლელი ვარ,
მე მოვიგონე ქვეყანაზე მტრობა, ლალატი,
უსასტიკესი აზიატი და „სოფლელი“ ვარ!..
ცხოვრებას, როგორც უკუნ ღამეს, ისე გავათევ!
კვლავ ვუდარაჯებ ჩემ სხეულში ნაშობ ანგელოზს,
ო, ღმერთო ჩემო, არ გამომჩეს, ნეტავ, ეს შობა —
რომ უფრო მეტად ყოფის ჭირხლმა არ გამამგელოს
და ვინმეს კიდევ რომ არ ვავნო ჩემი ეშვებით.
გადასარევი ამინდია, წავალ, ვიმღერებ
შენს ფანჯარასთან უკანასკნელ გედის სიმღერას.
დაიხრჩობიან ფინიებიც, მე რომ მიღრენენ,
ჩემს სამყაროში იმხელა ვარ და იმსიღრმე ვარ!

გადასარევი ამინდია სინანულისთვის...

X

შემდეგი ნომერი გამოვა
2025 წლის 17 იანვარს

თემურ გაბუნია

საუკეთესო ბიოგრაფიები

ზოგიერთი დიდი მწერლის საუკეთესო ბიოგრაფიებზე არაა რომელიმე ლიტერატორი, არამედ თვითონ ის ავტორები უნდა მივიჩნიოთ, რომლებიც თავიანთ (უკვე შედეგებზე მიჩნეულ) თხზულებებში ხატავდნენ ისეთ პერსონაჟებს, მათ ფიზიკურად და სულიერად რომ ჰგავდნენ. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ საკმარისი იქნება გავიხსენოთ რამდენიმე ცნობილი რომანი და მწერალი. დავიწყეთ ჯეროვ სელინჯერით...



პირად საუბრებში სელინჯერი არც უარყოფდა, რომ სიყვანისღობით დაახლოებით ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორც რომანის „თამაში ჭვავის ყანაში“ ლიტერატურული გმირი, ჰოლდენ კოლფილდია. ჯერაც რამდენიმე კოლეჯიდან გარიცხეს, მასაც ემუქრებოდა მამა, — თუ არ ისწავლი, სამხედრო სასწავლებელში გიკრავ თავსო, სელინჯერიც ჰოლდენით ექვსი ფუტი და ორ-ნახევარი დუიმი სიმაღლის იყო (189,5 სმ), ისიც მოფარეკავითა გუნდის კაპიტანი გახლდათ, ოღონდ არა პენსიის, არამედ მაკბერნის სკოლაში, საიდანაც გარიცხეს... მაგრამ როგორ წარმართა შემდგომში ნამდვილი ჰოლდენის ცხოვრება? რეალურ ცხოვრებაში მამამ, სოლომონ სელინჯერმა, მუქარა შეასრულა და ვაჟი მართლაც სამხედრო სასწავლებელში გააგზავნა. და, აი, მოხდა გასაოცარი რამ, სელინჯერს ველი ფორჯის კოლეჯი მოეწონა და დაასრულა კიდევ.

მსგავსება მწერალსა და მის პერსონაჟს შორის მართლაც თვალშისაცემია, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ სელინჯერის ლიტერატურულ გმირებსა და ავტორს შორის მსგავსება მხოლოდ გარეგნული, ზედაპირული ნიშნებით არ შემოიფარგლება. აქ საქმე გვაქვს ღრმა სულიერ ნათესაობაზე. ეს კარგად შენიშნა ლიტერატორმა მერი მაკკართიმ, სელინჯერის ერთ-ერთი თავგამოდებული კრიტიკოსმა: „იმას კიდევ ავიტანთ, ჰემინგუეის ყოველი ნაწარმოებიდან ერთი ჰემინგუეი რომ შემოგვცქერის, მაგრამ შეიძლება სელინჯერი ერთ ნაწარმოებში?! ეს უკვე მეტისმეტია!“ — ასე გამოხატა მან თავისი აღშფოთება გლასერის ოჯახზე შექმნილი ნაწარმოებებისადმი და არც ცდებოდა, ვოდვილის ყოფილი მოცუკვავების — ლესი და ბესი გლასერის — შვიდივე შვილი მართლაც რალაციით ჰგავდა მწერალს.

„მართლა თუ გაინტერესებთ ჩემი თავგადასავალი, პირველად, ალბათ, იმას მკითხავთ, სად დაიბადე, რა სახაგელი ბავშვობა მქონდა, მშობლები რას აკეთებდნენ, და ათასგვარ დევნილ კოფერფილდისებურ აბდაუბდას. მაგრამ მართალი გითხრათ, სულაც არ მეპიტანავება ამეების გახსენება.

ჯერ ერთი, გულს ამირევს და მეორეც — ჩემი მშობლების პირადი საქმეები რომ ჩამოგივლოთ, თითო ამბის სხეულებზე სანყლებს ორ-ორჯერ მაინც ჩაეცეცათ ტვინში სისხლი. ძალიან ახლოს მიაქვთ ხოლმე ამისთანა ამბები გულთან, განსაკუთრებით მამაჩემს. რა მეთქმის, კარგი ხალხია... განა იმას ვამბობ... მაგრამ საშინელი ფსუკიანება, რომ ავდგე და მთელი ჩემი წყული ავტობიოგრაფია წვრილად ჩაუჯაკლო.“

მკითხველი, ალბათ, უკვე მიხვდა, ვის ეკუთვნის ეს სიტყვები — მწერლის საუკეთესო ბიოგრაფოსს — ჯეროვ დევიდ სელინჯერს. დიას, ჰოლდენ კოლფილდი ბევრი არიან ჰგავს მას და არა მხოლოდ ეს პერსონაჟი. რელიგიური შეხედულებებისა და მსოფლმხედველობათა იდენტობის თვალსაზრისით მწერლის ტყუპისცალია ბადი გლასი „სიმორი — შესავალის“ პერსონაჟი, რომელიც სელინჯერის მსგავსად გამოუდგებულ რელიგიურ ძიებებშია. ასეთი იყო რეალურ ცხოვრებაში ავტორიც, რის გამოც, სულ ცოტა, სამი თუ ოთხი რელიგიის მიმდევრადაც კი მიიჩნევენ. სელინჯერის წინაპართა რელიგია (მამის მხრიდან) გახლდათ იუდაიზმი. ის ამ რელიგიის აღმსარებელი იყო ბავშვობიდან სიყვანისღობამდე, ყოველ შემთხვევაში, მანამდე, ვიდრე მამასთან უსიამოვნება მოუვიდოდა და ოჯახიდან წავიდოდა. 1948 წლიდან სელინჯერი დაინტერესდა ბუდიზმით, შემდეგ — ინდუიზმით, ტაოიზმით, ბოლოს კი — ქრისტიანული თემატიკითაც („ფრენი და ზუი“). შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ სელინჯერის პროტოტიპი, ბადი გლასი გარკვევით ამბობს „სიმორი — შესავალში“, რომ მისი ფსევები „იღებდა და იღებს სათავეს ახალი და ძველი აღთქმის წიგნებში, ადვიატა ვედანტასა და კლასიკურ ტაოიზმში“. ასე რომ, შეუძლებელია რომელიმე შემთხვევითი რელიგიაში ფსევებგადგმული ადამიანი პარალელურად ფროიდიზმის თაყვანისმცემელიც ყოფილიყო, პირიქით, ქრისტიანიც, იუდეველიცა და ინდუიტიც თუ არ აღშფოთდებოდა, უნდა გალიზიანებულიყო მაინც ფროიდის მოძღვრების გაცნობისას.

ფროიდიზმით გალიზიანების თემა კი კარგად ჩანს გლასების ოჯახის შესახებ შექმნილ თხზულებებში. გავიხსენოთ, რას ამბობს აღნიშნული თემის შესახებ სელინჯერის კიდევ ერთი პერსონაჟი ფრენი გლასი, ოცი წლის ამერიკელი სტუდენტი, რომლის იდეალი არა პრაგმატული სამყაროს ქურუმი, მუდამ თვითკმაყოფილი და ყოყონი პროფესორი ტაპერია; ან ვთქვათ, ბრძენკაცად მიჩნეული პრეზიდენტი რუზველტის ერთ-ერთი მრჩეველი, ვისი კარიერაც სასაქონლო ბიზნესზე დაიწყო, არამედ — სულიერ და რელიგიურ ძიებებში ჩართული ადამიანები. მას თავის ბიოგრაფიულ-თან, ლეინთან, კონფლიქტი სწორედ იმის შემდეგ მოსდის, რაც გაიგებს მისგან, თუ რატომ ჩართო ფლობერის შესახებ დაწერილ ესეში ფროიდისტული შეხედულებები. ლეინის აზრით, შეუძლებელია, რაიმე დაწერო ფლობერზე და გვერდი აუარო ისეთ დიდ მეცნიერს, როგორც ფროიდი. სწორედ აქ იწურება ფრენის მოთმინების ფილა, ის თავის ბიოგრაფიულ შეურაცხყოფას აყენებს და ეუბნება — პროფესორის დამხმარე, ასისტენტი ბიჭვით მსჯელობ, მთელ მსოფლიო ლიტერატურას თავდაყირა რომ აყენებსო.

დიახ, გლასების შვიდივე შვილი მართლაც რომ ძლიერ ჰგავს ავტორს. ციფრი შვიდიც არ უნდა იყოს შემთხვევითი, რადგან ეს საკრალური ციფრია, რომელსაც ქრისტიანობაშიც და ინდუიზმშიც განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ინდუიზმის მიხედვით ადამიანი შვიდი საწყისისგან შედგება (მინა, ნყალი, ცეცხლი, ჰაერი, ეთერი, ჯივა — ქრისტიანული თვალსაზრისით სამშვიველი და სული ანუ ატმანი). ამ შვიდი საწყისიდან წარმართული სულია. გლასების შვიდი შვილისგან სულიერ საფეხურზე ზუი გლასია. ის ეხმარება თავის უმცროს დას — ფრენის — ამაღლდეს მეექვსე საფეხურიდან მეშვიდეზე.

როგორც აღვნიშნე, სელინჯერს სულიერი თვალსაზრისით ჰოლდენ კოლფილდიც ჰგავს და ბადი გლასიც. ჰოლდენი მწერლის თინეიჯერული პერიოდის ავტობიოგრაფია, ბადი გლასი კი — მონიფულობის. ის ბევრი რამით ჰგავს ჯერის: შერეული წარმოშობით (ებრაულ-ირლანდიური); ცხოვრების წესით — ბადიც, სელინჯერისა არ იყოს, მწერალი-განდევლია; რელიგიური კუთვნილებით; კინოხელოვნებასა და თეატრზე შეხედულებებით და სხვა. თუმცა, თუკი გლასების ოჯახს კარგად დავაკვირდებით, სელინჯერი ჰიპოთეზურად ბადის დანარჩენ ოთხ ძმასაც შეიძლება მივამსგავსოთ, რადგან მას სიმორივითაც შეეძლო თავი მოეკლა, როცა ომის შემდეგ დემარსაში იმყოფებოდა და საავადმყოფოში რეაბილიტაციის კურსს გადიოდა; შესაძლოა, ისიც, ზუის მსგავსად, მსახიობი გამოსულიყო, მამამის რომ არ დაემალა; უოლტერით იაპონიასთან ომში მომკვდარიყო, სამედიცინო კომისიას პირველად ნაკადმი წასასვლელად ვარგისად რომ ეცნო; ან, თუკი აღმსარებლობის თვალსაზრისით დედის მხარეს გადაიხრებოდა, უეიკერის მსგავსად კათოლიკე მღვდელი გამხდარიყო. ამრიგად, მწერალს რეალურად მხოლოდ ბადი გლასი ჰგავს, დანარჩენი ოთხი ძმა (სიმორი, უოლტერ, უეიკერი და ზუი) კი მის ჰიპოთეტურ ორეულზეა შეიძლება მივიჩნიოთ. რაც შეეხება ბუ ბუსა და ფრენის (გლასების ოჯახის მდებარეობითი სქესის წარმომადგენლებს), მსოფლმხედველობრივად თვით ისინიც კი ჰგვანან სელინჯერს...

ჯეროვ სელინჯერს სიმორის მსგავსად სერიოზული ფსიქიკური პრობლემები შეექმნა ეგრეთ წოდებული რეაბილიტაციის კურსის გავლისას. მეორე მსოფლიო ომის მძიმე შთაბეჭდილებების გავლენის ქვეშ მყოფი მწერალიც მოექცა ფროიდისტ ფსიქონალიტიკოსთა მარჯულებში. სელინჯერის უარყოფითი დამოკიდებულება ამ ცხვირბუფული „არისტოკრატიებისადმი“ კარგად ჩანს არა მხოლოდ „სიმორი — შესავალში“, არამედ „ფრენი და ზუიშიც“, სადაც ზუი გლასი უფროსი ძმის თვითმკვლელობის ერთ-ერთ მიზეზად სწორედ ფსიქონალიტიკოსებს ასახელებს. ზუი დედას ურჩევს: ფრენის, რომელსაც გარკვეული სულიერი პრობლემები აქვს, ნუ მიიყვანს ეკლექტიკურ, ფროიდიზმით შეპყრობილ ფსიქიატრთან, თორემ ის ამ ფსიქონალიზის“ შემდეგ გაცილებით უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება, ვიდრე თავის დროზე სიმორი იყო.

ფრენი გლასის სიზმარი

ზუი მშობლების სასტუმრო ოთახში ტახტზე მძინარე დას თავზე რომ წამოაგა და მხარზე ხელის შეხებით გააღვიძა, ფრენი ჯერ კიდევ ნანახი სიზმრის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. სიზმარი კი ასეთი იყო — ვითომცდა დიდი ნიჩბებით შეიარაღებული კოლეჯელი თანატოლი გოგონები მას საცურაო აუზში დახრჩობას უპირებდნენ და აიძულებდნენ, რომ ჩაეყვინათ. ფრენის განსაკუთრებით ის ზარავდა, რომ პედაგოგი, რომელსაც ვერ იტანდა, იქ იყო. მართალია, ცუდს არაფერს აკეთებდა, უბრალოდ, იდგა და ილიოდა, მაგრამ მთელ იმ უცნაურ ხილვაში ყველაზე საშინელი სწორედ ის იყო. ეს სიზმარი საკმაოდ სიმბოლური გახლდათ, რადგან ფრენის, ისევე, როგორც ჰოლდენ კოლფილდის, ამბობების მთავარი მიზეზი სწორედ კოლეჯებში გამეფებული თვალთმაქცობისა და გულგრილობის ატმოსფერო იყო. სიზმარში ნანახი პროფესორი ტაპერი ძირითადად საკუთარი თავის განდიდების მანიით იყო შეპყრობილი, საგნისადმი კი, რომელიც სტუდენტებისთვის უნდა გადაეცა, ნაკლებ ენთუზიაზმს იჩენდა. ტაპერის მთავარი ნაკლი ის კი არ იყო, რასაც აკეთებდა, არამედ ის, რასაც არ აკეთებდა. ასევე, ზოგადად განათლების მთელი სისტემის უარყოფითი მხარეც სწორედ ეს გახლდათ. კოლეჯებში ძირითადი აქცენტი კეთდებოდა პრაგმატულად მოაზროვნე ადამიანის ჩამოყალიბებაზე, მაგრამ თითქაც კი არავინ ანდრევდა საინფორმაციო, რომ ადამიანი სულიერად განვითარებულიყო. და, აი, ფრენი ირჩევს იმას, რაც უმთავრესად მიაჩნია — ქრისტეს გზასა და იესოს ლოცვას. მისთვის ფასეული არც ფულია, არც ამბიციების დაკმაყოფილება და არც მინიერი დიდება, ფრენისთვის მთავარია სულიერი გასხივოსნება და სიმშვიდე. ზუი ძირითადად ეთანხმება მას, ცდილობს, ახალგაზვიძებულები და საუბარში ჩაითროს, გაანდოს თავისი აზრები განათლების სისტემაზე, აუხსნას, რა შეცდომებიც დაუშვა იესოს ლოცვის დაწყებისას, მაგრამ არაფერი გამოხდის, ფრენი ისტერიულ მდგომარეობაშია...

ზუი ოთახიდან გადის. თუმცა მას დაწებება აზრადაც არ გაუვლია. ის უფროსი ძმების — სიმორისა და ბადის ყოფილ ოთახში შედის და ტელეფონს იღებს...

ნამტირალე, ტახტზე მოკუნტულ ფრენის ბესი გლასი წამოაგდა თავზე და უთხრა, რომ ბადი ურეკავდა. ფრენი წამოდგა და ძმასთან სასაუბროდ გაემართა, მალე ირკვევა, რომ ეს, უბრალოდ, ზუის ოინია. სწორედ ის რეკავდა ტელეფონზე და არა — ბადი. მაგრამ მიუხედავად ამისა, ზუიმ მაინც მოახერხა ფრენის დემარსიდან გამოყვანა. ოღონდ არა ფილოზოფიითა და სიმბოლოებით, არამედ ერთი უბრალო ბავშვობისდროინდელი ეპიზოდის მოყოლით, რომელიც მასა და სიმორს ეხებოდა. ერთხელ ბავშვობაში რადიოგადაცემის, „ეს ჭკვიანი ბავშვია“, გასვლამდე ის გაჭირვებულად და უარი თქვა ფესხაცემლები გაეპრობალებინა და სახლიდან გასულიყო, რადგან მიაჩნდა, რომ ყველაზე სულელები იყვნენ: სტუდიის აუდიტორიაც, ნამუყვანიცა და გადაცემის სპონსორებიც. „არ ვაპირებ მათ გამო ფესხაცემლების გაპრობალებას“, — უთხრა მამის სიმორს. „გააპრობაფე ისინი მსუქანი ლედის გულისთვის“, — უპასუხა უფროსმა ძმამ. ზუიმ ვერ გაიგო, ვინ იყო მსუქანი ლედი და რატომ უნდა გაეკეთებინა რაიმე მისი გულისთვის, თუმცა მაინც დამორჩილდა. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, სიმორიც აღარ იყო ცეცხლი და ზუიც მიხვდა, თუ რას გულისხმობდა ის. ახლა მას სურდა, რომ ამას ფრენიც მიმხედარიყო, მსუქან ლედიში ის სიყვარულს გულისხმობდა, თვით ყველაზე არასასურველი ადამიანების, მათ შორის, პროფესორი ტაპერისაც, ფრენის ასე რომ სძულდა. ეს იყო ქრისტიანული სიყვარული...

ყველაზე ავტობიოგრაფიული პერსონაჟი

ჯეიმზ ჯოისის შემთხვევით არ შეურჩევია თავისი ყველაზე ავტობიოგრაფიული გმირისთვის სახელად სტივენნი, გვარად კი — დედალოსი. სტივენნი სტივენანე პირველმონამეს გვგავონებს, დედალოსი კი — მიკენში ცნობილი ლაბირინთის შემქმნელს. სტივენნი, ისევე, როგორც მწერალი, ცხოვრების პირველ მონაკვეთში ლვთისნიერი კათოლიკე ქრისტიანის ცხოვრებით ცხოვრობდა. პატარა ჯეიმზი ოჯახში დულ-

ინის კლონგოუზ-ვუდის იეზუიტურ სკოლაში შეიქმნა — შემდეგ ცოტახნით „ქრისტიანი ძმების“ სასწავლებელში, საიდანაც მამა კონმის რეკომენდაციით ბელგეების იეზუიტურ კოლეჯში მოხვდა. აქ ჯოისი ერთ-ერთი საუკეთესო იყო და წინ, შესაძლოა, ბრწყინვალე სასულიერო კარიერაც კი ელოდა, მაგრამ ის ამ გზას არ გაყოლია. აქედან იწყება მისი დედალოსობაც, ჯოისის ცხოვრებასა და შემოქმედებაში შემოდიან წარმართული მოტივები.

მწერალს ზედმინევენით კარგად აქვს აღწერილი თავისი სულიერი მდგომარეობა 1916 წელს ნიუ-იორკში გამოცემულ ავტობიოგრაფიულ რომანში „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას“, თუმცა მოთხრობების კრებულში „დუბლინელები“, რომელიც რომანზე 2 წლით ადრე ლონდონში გამოიცა, უკვე იგრძნობა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მწერლის იდეალი, რა შეუფერებელი სივრცედ მიაჩნდა ირლანდია, და რა მიმზიდველად — ლონდონი და პარიზი — დიდი ქვეყნების დედაქალაქები.

ჯოისის ავტობიოგრაფიული პერსონაჟი სტივენნი ამაყია, მას წინაპრები იმის ღირსადაც კი არ მიაჩნია, რომ მათი დაწყებული საქმე გააგრძელოს, მათი შეცდომები გამოასწოროს. ისინი ხომ „განუდგენენ თავის ენას და სხვა ენა მიიღეს, მან კი რატომ უნდა ზღოს მათი ვალები, თანაც „საკუთარი სიცოცხლით?“ რისთვის უნდა იბრძოლოს იმ ირლანდიის გათავისუფლებისთვის, ბევრი ლორივით „საკუთარ გოჭებს რომ თქვლიყვ“.

სტივენს სამშობლო ეპატარაევა ჯოისის მსგავსად, რომელსაც არ უნდოდა, ტყუალად იტყვიან მთელი სიცოცხლე. მწერალს რაღაც დიადი საქმის გაკეთება დაუსახავს მიზნად. მაგრამ რა არის ეს დიადი საქმე? ამ კითხვებზე პასუხს „ხელოვანის პორტრეტში“ ვპოულობთ. სტივენ დედალოსს სურს, „მსოფლიო კულტურის დღესასწაულზე“ მოხვდეს. ის უკვე მონისის ლაბორინთის მშენებელი დედალოსია და არა პირველმონამე სტეფანეს მოსახლე სტივენი, მასში წარმართული მუსიკა იღვიძებს, თანდათანობით კი ახალ ესთეტიკურ ფილოსოფიასაც წყდებს რათა „მსოფლიოს კულტურის დღესასწაულზე“ მისით მოიხიბლოს. ამ ესთეტიკური ფილოსოფიის უმთავრესი იარაღი კი პაროდიაა. ეს ჯოისმა ჯერ კიდევ „ხელოვანის პორტრეტში“ გამოცადა. და თანაც არა მხოლოდ ირლანდიელ პატრიოტებზე, რომლებსაც „შინაურ ბატებს“ უწოდებდა, არამედ თვით უფალ იესოზეც. „სტივენმა მეფის ფოტოგრაფიის კენ (იგულისხმება ნიკოლოზ II — თ. გ.) გაიშვირა ხელი და თქვა:

— მთვრალ ქრისტეს მაგონებს“.

და, აი, რადგან ერთხელ გაბედა, როგორც ჩანს, მიიჩნია, რომ გზა უკვე გაკვალული ჰქონდა და მისი პაროდის მანქანაც მომართა. „ულისეში“ უკვე არც ერთი ეპიზოდი არაა ისეთი, რომელშიც მწერალი სამების რომელიმე ჰიპოსტასს, მღვდლებს, ირლანდიელ პატრიოტებსა ან თვით ირლანდიას არ აშარებდეს.

ჯოისი და გოგარტი

„ჯოისი და გოგარტი არასდროს მდგარან თოვლიანი მწვერვალების ფონზე იარაღით ხელში ერთმანეთის პირისპირ, თუმცა ისინი მონანილოვდნენ დუელში, მთელი ცხოვრების მანძილზე რომ გრძელდებოდა“.

რიჩარდ ელმანი, „ჯეიმზ ჯოისი“

„ერთადერთი წიგნი, რომელიც დანამდვილებით მომწონს, ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირია“... ლერმონტოვი წიგნის დასასრულს აღწერს დუელს თავის გმირსა და გ.-ს შორის. გ.-ს ტყვეს ხვდება, იქ კავკასიაში, და უფსკრულში ვარდება. გ.-ს პროტოტიპმა, რომელიც მწერლის სატირით იყო გალიზიანებული, ლერმონტოვი დუელში გამოიწვია. დუელი მართლაც კავკასიაში შედგა, ზუსტად ისეთი უფსკრულის პირას, მწერალს რომ აქვს აღწერილი. ლერმონტოვი დუელში მოკვდა და უფსკრულისკენ ჩაგორდა. წარმოდგინე, ამის ნაკითხვისას, რა აზრი მომივიდოდა თავში“, — წერდა ჯოისი თავის ძმას, სტანისლოსს 1905 წელს. სტანისლოსს არ უნდა გასჭირვებოდა, გამოეცნო, ვის გულისხმობდა ჯეიმზი, რომლის გრუმნიცკიც, ოლივერ გოგარტი გახლდათ. სწორედ მასთან მოუვი-

და კონფლიქტი მარტელის კომპი, რომლის შემდეგაც ჯეიმზმა ირლანდია სამუდამოდ დატოვა.

ჯეიმზ ჯოისი, ოლივერ გოგარტი და სემუელ ტრენჩი (ანგლო-ირლანდიული წარმომავლობის ოქსფორდის სტუდენტი) 1904 წლის 15 სექტემბერს მარტელის კომპი იმყოფებოდნენ. ეს კომპი რამდენიმე ასეული წლის წინ აშენებინათ ნაპოლეონის შემოსევისგან თავდასაცავად, ოთახიდან, რომელიც გოგარტმა და ჯოისმა სამხედრო საქმეთა დეპარტამენტისგან იქირავეს, საუკეთესო ხედი იშლებოდა ირლანდიის სანაპიროზე მწვანედ მოლივნივ ზღვითა და კლდოვანი კუნძულებით.

კომპი დროდადრო ჰერმეტიკული საზოგადოება იკრიბებოდა ჯორჯ რასელის ხელმძღვანელობით. ცნობისმოყვარე ჯოისმა და გოგარტმა კომპის პალატების დათვალიერებისას, სხვა ოკულტურ ნივნებს შორის, ეალენ ბლავატსკაიას „რიდებდილი იზიდაც“ აღმოაჩინეს. შეძლებული ოჯახიდან გამოსულ გოგარტისთვის ზაფხულის არდადეგების პერიოდში მარტელის კომპი ცხოვრება მორიგი ბოჰემური თავგადასავალი გახლდათ. მისთვის ხელმოკლე ჯოისის სამუშაო ექსპონატივით იყო. იმავე წლის აპრილში ოქსფორდში ეპატიჟებოდა კიდევ, რათა კურსელებისთვის გაეცნო. სამი ფუნტი იშოვე და ჩამოდი, დანარჩენ ხარჯებს მე დაგიფარავ, გამოსასვლელ ტანსაცმელსაც კი დაგახვედრებო, სთავაზობდა. არც ჯეიმზი იყო წინააღმდეგი ოქსფორდში წარედგინათ „როგორც მოუთვინიერებელი ჰიბერნიელის ერთ-ერთი სახეობა, მაგრამ სამ ფუნტს ვერ მოუყარა თავი“ (Richard Ellmann, James Joyce, p.159).

და, აი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გოგარტი, ჯოისი და ტრენჩი 1904 წლის 15 სექტემბერს მარტელის კომპი იმყოფებოდნენ. ანგლო-ირლანდიური წარმომავლობის ტრენჩი („ულისეს“ პერსონაჟის, ჰეინის, პროტოტიპი) ირლანდიის განმათავისუფლებელი მოძრაობის მხურვალე მხარდამჭერი. მისი კომპი გამოჩენის შემდეგ ჯეიმზი თავს შევიწროებულად გრძობს. სემუელი მოგზაურობიდან ახალი დაბრუნებულია, მან ასობით მილი გაიარა ნავით ირლანდიის ტბებზე, მდინარეებსა და არხებზე. ნახევრად ინგლისელი, ბევრი ირლანდიელისგან განსხვავებით, დიდი ენთუზიზმით სწავლობს გელურს და ახარებს, თუკი ვინმეს ამ ახლად შესწავლილ ენაზე გამოელაპარაკება. მარტელის კომპი ყოფნისას ერთგვარ ეიფორიაშიცაა, რადგან მიაჩნია, რომ ირლანდია ხელახლა აღმოაჩინა სოფელ-სოფელ მოგზაურობისას.

დაახ, ტრენჩი ჯოისის ანტიპოდი, მეტიც, ძნელად თუ წარმოიდგენს ვინმე ორ ერთმანეთისგან ესოდენ განსხვავებულ ადამიანს. რაც შეეხება გოგარტს, ჯოისის ბიოგრაფოსის, რიჩარდ ელმანის აზრით, მას იმხანად ჯეიმზის თავიდან მოშორება სურდა, რადგან არ უნდოდა, ხანგრძლივი დროით ვინმე მის უმაცოვარზე ყოფილიყო. ოლივერს გულის სიღრმეში ჯოისის სარკაზმის ემინოდა, შესაძლოა, ოდესმე დიდი მწერალი გამხდარიყო და თავის რომანში გაემასხრებინა — აი, რას უფრთხოდა ოლივერი. ამიტომ ერჩია, ბოჰემური სპექტაკული გაეთამაშებინა, რათა უხეში ხუმრობები შევიწროებული ჯეიმზი კომპიდან გაეეცია.

საბოლოოდ ასეც მოხდა, ჯოისის სანოლის მიმართულებით რამდენჯერმე გაისროლეს...

მოჩვენება

„ულისეში“ საუბარია, ძილში ავაზის ხილვამ როგორ შეაშფოთა ინგლისელი სტუმარი, რომელმაც რამდენჯერმე გაისროლა.

„მთელი ღამე ბოდავდა, შავი ავაზა ელანდებოდა, თქვა სტივენმა, იარაღს სად ინახავს?“

სტივენი დაფეთებულია. არც მალავს, რომ შეეშინდა.

„ამ მიყრუებულ ადგილას, სიბნელეში, კაცთან, რომელსაც ძლივს ვიცივობ, რომელიც გმინავს და ბოდავს, შავი ავაზა უნდა მოვკლაო. შენ ხალხი დახრჩობას გადაგიჩენია, მე კი გმირი არა ვარ. ის თუ აქ დარჩა, მე წავალ“, — უბნება სტივენი ბაკ მალგანს.

რომანში 1904 წლის 15 სექტემბერს ღამით მომხდარი მოვლენები ოდნავ შეცვლილია. სემუელ ტრენჩმა (ჰეინის პრო-



ტოტიპმა), მართლაც გაისროლა ბუხრის მიმართულებით, როცა შავი ავაზა ესიზმრა. შემდეგ მხარი იცვალა და ძილი განაგრძო. ხოლო როდესაც კვლავ აღრიალდა და კომპარულ ბოდავში ავაზა ახსენა, რევოლვერი უკვე ოლივერმა აიღო — „ავაზას მე მივხვდებ“ — თქვა და ჯოისის სანოლის თავზე გაკეთებული თაროებისკენ გაისროლა. ტყვიები ქილებს მოხვდა. მომხდარი ჯოისმა მინიმუმად მიიღო. გოგარტი ამ უხეში ხუმრობით ჯოისს ფაქტობრივად კომპიდან აძევებდა, ჯეიმზიც ნავიდა, სიტყვის უთქმელად, წვიმაში. ის ვერ ღამის გასათევად ნათესავ მიურევებს ესტუმრა, რამდენიმე დღეში კი მამაც მოინახულა, იმის სათქმელად, რომ ირლანდიის დატოვებას აპირებდა. ხანგრძლივი საუბრის შემდეგ ჯონ ჯოისი მიხვდა, რომ უფროსი ვაჟისთვის სამშობლოდან გამგზავრება უკეთესი იქნებოდა.

ამრიგად, სწორედ მარტელის კომპი მომხდარმა ინციდენტმა, კერძოდ კი ავაზის მოჩვენებამ, დააჩქარა ჯოისის ემიგრაცია. თუმცა დუელი ამით არ დასრულებულა. პასუხს, როგორც მწერალმა მოგვიანებით თავის მეგობარ კოსგრევითან განაცხადა, გოგარტი „სტივენ გმირის“ ფურცლებიდან მიიღებდა...

არჩევანი

ადამიანის ფსიქიკაში ოდითგანვე ღრმად იყო გამჯდარი სამშობლოდან წასვლი-სა და თავგადასავლების ძიების სურვილი. ჯოისს ხშირად გაუვიგებია საკუთარი თავი უძრებ შვილთან, თუმცა ბიბლიური წინამორბედისგან განსხვავებით, თავში აზრად არასდროს მოსვლია, სამშობლოში დაბრუნებულიყო და ვინმესთვის პატიება ეთხოვა, რადგან მიაჩნდა, რომ, პირაქით, მისთვის უნდა მოეხადათ ბოდიში. რაც დრო გადიოდა, მწერლის დამოკიდებულება ირლანდიისადმი სულ უფრო და უფრო რთული ხდებოდა. 1916 წლის აჯანყებას რამდენიმე სიყრმის მეგობარი შეენირა, მაგალითად — შიპი-შეფინგტონი, რომელიც ინგლისელმა ჯარისკაცმა გაუსამართლებლად დახვრიტა, როდესაც ის თანამემამულეებს მოუწოდებდა, ბრიტანულ არმიას არ განეცრიანებულებენ. ბრძოლამ შედეგი გამოიღო. ინგლისელებმა შეწყვიტეს ირლანდიელების არმიას განეცვა. ჯოისს თითქოს უხაროდა და თან არც უხაროდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ძალას რომ იკრებდა. ალბათ მოგვიწევს მე და ჯორჯის დუბლინში ჩასვლა ტანსაცმელზე მიმაგრებული სამყურათი (ეროვნული სიმბოლო), უთქვამს ერთხელ, თუმცა როცა მოგვიანებით ჰკითხეს, მალე მოიპოვებდა თუ არა ირლანდია დამოუკიდებლობას, გაღიზიანებულმა უპასუხა: „რატომ, რომ თავი მის პირველ მტრად გამოვაცხადო?“ მომდევნო კითხვას: „მოკვდებოდა თუ არა ირლანდიისთვის?“ კი ასე უპასუხა: „უმჯობესია, ირლანდია მოკვდეს ჩემთვის!“

დაახ, ჯოისი ამაყი იყო. მას არ უნდოდა, „ერთგული, გონებალუნგი მონის მორჩილებით“ ჩამდგარიყო კათოლიკური ეკლესიის სამსახურში. მას მსოფლიო კულტურის დღესასწაულზე მოხვედრა სურდა. საამისოდ კი, მწერლურ ნიჭთან და კოსმოპოლიტურ მისწრაფებებთან ერთად, გავლენიანი მეგობრების მხარდაჭერაც იყო საჭირო — და, აი, მალე მფარველიც

გამოუჩნდა და ცნობადობაც შეიძინა, მისით მოხიბლულები იყვნენ ვინდჰემ ლუისი, ფორდ მედოქს ფორდ და სხვები. შეუძლებელია, არ დავეთანხმობთ რიჩარდ ელმანის გონებამახვილურ გამონათქვამს: „მას შემდეგ რაც პაუნდმა აღმოაჩინა და გაანებივრა, ხოლო მის ვივერმა დედობა გაუნია, ჯოისმა არა მხოლოდ „ხელოვანის პორტრეტის“ დასრულება, არამედ ახალ წიგნებზე „განდევნილებსა“ და „ულისეზე“ მუშაობის დაწყებაც კი შეძლო“.

ცნობადობასთან ერთად გავლენიანი მეგობრების წრეც იზრდებოდა. 1915 წელს საცხოვრებლად ციურიხში გადასული სალმონებს ხან რესტორან zum Roten Kreuz-ში ატარებდა, ხან — კაფე ოდენში. ამ კაფე-რესტორანებში ხშირი სტუმრობისას ჯოისი დაუახლოვდა კლუბ des Estrangers-ის წევრებს, ბანკირებს, ვაჭრებს, არისტოკრატებს, იტალიელ, ბერძენ და ებრაელ ბიზნესმენებს. სწორედ იმ პერიოდში შეიტყო ჯოისმა ვიქტორ ბერარდის თეორიის შესახებ, რომლის მიხედვითაც ოდისევს ვითომცდა სემიტური ფესვები ჰქონდა და გადაწყვიტა, საკუთარი ოდისევსი, „ულისეს“ პერსონაჟი ლეოპოლდ ბლუმი, უნგრული წარმოშობის ებრაელად გამოეყვანა. საგულისხმობა, რომ კაფე ოდენის ხშირი სტუმარი იყო ლენინი. ჯოისი მას იცნობდა კიდევ, თუმცა ლენინს მაშინ დიდ ყურადღებას არავინ აქცევდა. აღსანიშნავია ისიც, რომ როზენცუფი, ადამიანი, რომელსაც მოგვიანებით ბელადი მოსკოვში უნდა ჩაეყვანა დახურული მანქანით, სწორედ ციურიხის რკინიგზის სადგურიდან გაემგზავრა ამ მისიის შესასრულებლად.

ასე რომ, ჯოისი უკვე საკმაოდ გავლენიანი ნაცნობთა წრეში ტრიალებდა, რომლებიც მსოფლიო რევოლუციებსა და ახალი ლიტერატურული მიმდინარეობების შექმნაშიც კი მონაწილეობდნენ. რომ არა ისინი, თვით ნიჭიერი ჯოისიც კი ვერ გაიკვლევდა გზას მწერლურ ასპარეზზე ასეთი სისწრაფით, რადგან მატერიალური და მორალური მხარდაჭერის გარეშე თავს ვერ გაიტანდა და შესაბამისად ვერც ახალ წიგნს შექმნიდა, „ულისეს“, რომელსაც მოგვიანებით მოდერნისტული ლიტერატურის უმთავრეს თხზულებად მიიჩნევენ.

მაგრამ, რა მოუვიდათ ჯოისის ძველ მტრებს? ნუთუ მწერალს ისინი მიავიწყდა? არა, მათთან დაპირისპირება კვლავაც გრძელდებოდა. ჯოისმა ისინი „ულისეში“ სასტიკად გააშარა, განსაკუთრებით „ციკლოპების“ ეპიზოდში. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ მწერალს გოგარტი სიცოცხლის ბოლომდე ახსოვდა, რაზეც ნათლად მეტყველებს ის ორი წიგნი, 1941 წლის 13 იანვარს გარდაცვლილის მაგიდაზე რომ იპოვეს — ბერძნული ლექსიონი და ოლივერ გოგარტის „წმინდა პატრიკის ნაკვალევზე“...

შესაძლოა, სიკვდილის წინა დღეებში ძველი მეტოქის წიგნის კითხვისას ჯოისს ყურშიც კი ჩაესმოდა ბაკ მალგანის (გოგარტის ლიტერატურული ორეული) სიტყვები: „ღმერთმანი, კინჩ, მე და შენ ერთად რომ გვემუშავა, ამ კუნძულს რამეს მოვუხერხებდით, გავაეღინებდით“, ან თუნდაც: „რა მოხდებოდა დაგეოქოვა, კინჩ, როცა ავადმყოფი დედა ამას გთხოვდა... შენ კი უარი უთხარი...“

ასე იყო თუ ისე, ვირტუალური დუელი გოგარტთან არასდროს შეწყვეტილა...



ბეჯა ახალაია

რეკვიამი ნაჭრის თოჯინისთვის რიტუალის შემდეგ

მთელი დღეა, ზის მკერავი და თავაუღებლად გკერავს ძვირფასი ნაჭრით, მთელ თავის შესაძლებლობებს იყენებს, ბოლომდე იყენებს

საქმის ცოდნას, გამოცდილებას და ხელოვნებას, სკრუპულოზურად, სულ დეტალ-დეტალ, ნაკვთ და ნაკვთ გკერავს, გაცოცხლებს, თავისი სიბერე

არც კი ახსოვს, გადააინწყდა და თვალიც ისე უჭრის, სათვალე სულ რომ მოიხსნას, მაინც ყველაფერს ზუსტადვე გააკეთებს.

ზის და გკერავს: თავიდან — ტანი, ვინრო წელი და ბრტყელი მუცელი, ამობურცული მკერდი (ასეთი თოჯინა ქალაქში, სანაგვეზე

რომ იპოვოს არათუ ბავშვმა — უფროსმაც, ალბათ, არ დატოვებს და შინ გაიყოლებს), გკერავს და გკერავს, გრძნობს თავის უდიდეს მისიას.

ზის და გკერავს: ტანზე — ფეხები, მერე — ხელები, მერე — თავი და სახე (აქ აქსოვს მთელ ხელოვნებას — ლამაზი თოჯინა ვისია?!),

ახლა თმები — ქერა კულული — თავის შვილიშვილს რომ ჩამოაჭრა, და ბოლო შტრიხი, სულ ბოლო შტრიხიც — ხასხასა ცისფერი ატლასის

კაბა... მორჩა — გაცოცხლდი, ბამბის სული შთაგებრა შენმა შემქმნელმა... მთელი სოფელი გიცდის ჭიმკართან... კიბის ქვეშ ნითური კატა ზის.

* აივნიდან გავცქერი მინდორს, დაგვალულ ყანებს. გამომშრალ მიწას აღმური ასდის... მესამე თვეა, წვეთი რომ წვეთია, წვეთიც კი

არ მომწყდარა ცას... მდინარიდან, მოთქმა-გოდება მესმის — პირველი შემთხვევა, როცა არ ვიზაფრები, პირიქით, ვიღიმი — ვიცი, რომ

შენ „დაგახრჩვეს“ წელან ქალებმა ამინდის ღმერთის მოსატყუებლად (თითქოს დაიხრჩო ადამიანი), რომ მანაც მათსავით იტიროს.

*** არ გთხოვს არასდროს თვითონ, მაგრამ მშვენივრად იცი, როგორ უყვარს „მაკლონალსი“ შენს შვილს და, როცა სეირნობას მოიღვეთ, თვალი შემპარავად გაურბის იქით — იქითკენ. — შენ თავიდან არ იმჩნევ, ვითომ ვერ ხედავ და, აი, ასე ზიხარ ძელსკამზე ცოტა ხანი, ვითომ დალილი, დაქანცული, საუბრის

თავიც არა გაქვს ვითომ... მალე გაგელიმება, ხელს ჩაკიდებ, და მიდიხართ: ის — „პეპსიზე“ და „ჰამბურგერზე“, შენ კი — ჩაიზე (ჩაიზე ან ყავაზე)... დღესაც ზიხარ და ის შენს ღიმილს ელის ამოდ... დღეს კაპიციც არ გიგდია — რაც კი გებადა, სამი დღის წინ ბოლო თეთრამდე მიახარჯე ძმაკაცებს.

ჩარჩო

ბიბლიოთეკის ერთ კედელზე — სოფელში, მამიდა სადაც მუშაობს, ჩემს სოფელში — დიდი და ლამაზი ჩარჩო ეკიდა, შიგნით იყო ჩასმული — ჯერ კიდევ კომუნისტების ეპოქაში — ლენინის პორტრეტი. შემდეგ კი, როცა დაიშალა საბჭოთა კავშირი, ჩასვა პირველი პრეზიდენტის პორტრეტი მამიდამ.

როცა პირველი პრეზიდენტი დაამხეს მალევე, უკვე მეორე პრეზიდენტის პორტრეტი მოთავსდა ჩარჩოში. როცა, წლების მერე, ან უკვე უსისხლოდ გადააყენეს ის მეორეც, ჩარჩოში მესამე, უკვე მესამე პრეზიდენტის პორტრეტი ჩაისვა — ცოტა ხანში კი, განახლების იდეით მოსულმა ხელისუფლებამ ჩარჩოებიც შეცვალა ყველგან და,

ბედისა განაში

I ბედისას სახლი გორაზე დგას, დაჰყურებს ზემოდან სოფელს, ჩვენს სოფელს, ძველებური ყაიდის ოდაა — ორი სართული, პირველია რიყის ქვით ნაშენი, ხოლო მეორე — ხით. წინ — კიბე — ურითმო ოქტავა — რვა საფეხურით, სახელურის გარეშე... რემონტი — პირველზე მხოლოდ...

ბედისას არ ეტყობა ცვლილება — ის ყოველი თვის ბოლო კვირას ჭადარზე აჭედებს თითო ლურსმანს და დააყოლებს: „— კბილებით, კბილებით!“

II ბედისას ბევრი ფუტკარი ჰყავს, თაფლს ყიდის, ცვილისგან არაყს ხდის, ყიდის არაყსაც და ცხოვრების ერთადერთ აზრს ხედავს სწორედ მათ მოვლაში. არ დადის ისედაც არსად — არ დადის ქორწილებში, ასევე არ დადის გასვენებებში, ბაზარშიაც არ დადის... დილიდან თოფს ესერის ფუტკრისმჭამელ ჩიტებს, ხოცავს და მცირედი სიბრალულიც კი არ ანუხებს... თვის ბოლოს აჭედებს ლურსმანს ჭადარზე და ხმადაბლა: „— კბილებით, კბილებით!“

III ბედისა დადის მხოლოდ სოფლის (ერთ დღესაც არ აცდენს) სასაფლაოზე — მისი ბიჭი (ოცი წლის) მარხია იქ — თელების ქვეშ — ზედ მესერთან... ბედისას ასეთი ჩვეულება აქვს: როცა სადილს — სადილს კი, ცხადია, სულ კარგს ამზადებს — მოამზადებს, დააწყობს სინზე და ჯერ მიაქვს ბიჭთან — მის საფლავზე... ათასჯერ ვიქნები შემსწრე, გულზე რომ აწყობს ხოლმე... თვის ბოლოს აჭედებს ჭადარზე ლურსმანს და თავისთვის: „— კბილებით! კბილებით!“

IV ბედისას ზოგი თავს არიდებს — ალქაჯს და კუდიანს ეძახის, ბავშვებს ამინებენ მისით და ბედისამ იცის ეს კარგად... რაიონის ჭორიკნულ გაზეთშიც დანერეს ერთხელ მასზე — მსგავსი პატივიც ელირსა. და იმ ჭადარსაც — ბებერ ჭადარს — შორიშორ უვლიან, გზასთან რომ დგას და, რომლის ზროზეც, ურყევი იმედით სახვე — აღსახვე, — თითო ლურსმანს აჭედებს, აჭედებს, ყოველთვე, ბოლო კვირადღეს და: „— კბილებით! კბილებით!“

V ბედისას კაცი, ერთი კაცი, უყვარდა, უყვარდა — სტუდენტობისას, იმ კაცს ჰყავდა ცოლ-შვილი, და თანაც ლექტორი იყო ბედისასი — მექსიკურ სერიალს ჰგავდა ამბავი — და ფინალი დღესავით ნათელი გახლდათ: წავიდა, ერთ დღეს, კაცი (ოჯახით) სულ სხვაგან (გაქრა, ორსული ბედისა კი მინებდა დინებას — ბიჭი გაზარდა და მოუკვდა...), ორმოცი წელია, იმ კაცს, ჭადართან, ჩუმად წყევლის: „— კბილებით, კბილებით!“

VI ბედისას დედა, ალბათ, ასის იქნება — ასი წლის, ან, შეიძლება, მეტის არი, ჯანზეა — არაფერს უჩივის, დიდად არც ბედისას ეტყობა ასაკი და ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, ასევე ირიბად უკავშირებენ ალქაჯობას — ხალხი სხვას რას იტყვის?! — ფუტკრის შხამისგან ამზადებენ წამალს — რას დააკლებთ, რას დაეტყობათ ასაკი... ჭადარზე აჭედებს ბედისა ლურსმანს და თავისთვის: „— კბილებით, კბილებით!“

VII კაცი მოვიდა ერთ შუადღეს — ღრუბლიან შუადღეს, კაცი მოვიდა, ვთამაშობდით ფეხბურთს და მანქანა (კაცი მოვიდა) გააჩერა ჭადართან, გაალო (მართლა მოვიდა) კარი. რადგან — რადგანაც, რადგანაც — კაცი მოვიდა, თანაც — უცხო, თამაში შეწყვიტეთ. კაცი მოვიდა და მივიდა ზროსთან და ფესვებთან (ჭადრის ფესვებთან) დაიჩოქა ხასხასა ბალახზე და ლურსმანებს კბილით წაეჭანა... ნიკაპზე, მკერდზე და მუცელზე სისხლი დასდოდა, ახლოს რომ მივედით; მომტვრეულ კბილებს აფურთხებდა, ეყარა კბილები...

შემოდგომის ფასტუფლი

ერთფეროვნება: სახლი — ეზო და ისევე სახლი... თავს იმითი ვინუგეშებ, რომ ბევრს ვწერ, მაგრამ ვის ჭირდება?! ცა მოიქუფრა, ხელზე წვეთი დამცვა... ჯერაც წელ-თბილი ოქტომბერი მდნარი ყველია შემოდგომის ჩიზბურგერში — ზაფხულმა ზამთარს მოუმზადა, მაგრამ ზამთარი ვერ ახერხებს ჩაკბენას.

*** იგი — ჭარმაგი (ეს „ჭარმაგი“ უხდება საოცრად), თეთრი თმა-წვერით, „ძველი ალექსის“ პატრიარქს რომ ჰგავდა — ზოგჯერ სუფრაზე გვიჯდებოდა უმცროსებს. უმცროსებს მოგვწონდა მასთან პურის ჭამა, ვსვამდით და ვუსმენდით. შუა ქეიფში გვთხოვდა ხოლმე ყოველთვის, ხმადაბლა და მორიდებით (ამ დროს ცრემლი — მდულარე ცრემლები —

მახრჩობდა ჩუმად), YouTube-ზე ჩაგვერთო ვიდეო მისი უმცროსი, გარდაცვლილი გოგოსი... მღეროდა... დღეს დამირეკეს, კარგო კაცო, მითხრეს, რომ — პასუხად ვერაფერი ვთქვი — ნუხელ ღამით, თორმეტზე (პირველის რაღაც წუთებზე), შენს გოგოსთან ნასულხარ... ნასულხარ... ალბათ, ფანდურით, წინ გიზის და გიმღერის... გიმღერის...

მამიდაჩემმა ძველი ჩარჩო მე მომცა, ჩარჩოში ჩემი ნახატი — პეიზაჟი — ჩავსვი და ბუხარზე შემოვდე, დღემდე იქ დევს...
 როცა სოფელში ჩავდივარ და მარტო ვრჩები იმ ოთახში („— პარტიას დიდება. ზვიადი. პუტჩი. შევარდნაძე. მიშა და ვარდები.“), ჩარჩო უახლეს ისტორიას ჩურჩულთ მიყვება.

შიგადაშიგ, როცა ნაგიჭერს ყელში საცეცებს და გახრჩობს, გახრჩობს რაღაც თუ ვილაც და სუნთქვა გიჭირს, გადიხარ სიმაგრედან —

იმ ციხიდან, ირგვლივ მტკიცედ რომ შემოიშენე და რომლის გამძლე კედლებში ძნელად, ძალიან ძნელად შემოდის სამყაროს ქაოსი.

გადიხარ და ბიჭებთან ერთად სასმელში ეძებ ხსნას, ოღონდ იცი, რომ ხსნა იქ რთული საპოვნელია და მხოლოდ ხანდახან პოულობ.

და უყურებს ყველაფერს დედა — გიყურებს იგი, გული უკვდება, ჩაგკიდებს ხელზე ხელს და მიჰყავხარ — მიჰყავხარ პატარა ბავშვივით —

უახლოეს ეკლესიაში და ზუსტად იმდენ სანთელს, რამდენი წლისაც ხარ, გინთებს, ლოცულობს შენთვის, შენც დგახარ და მისი შემართება

გიკვირს, რადგან ამ ყოველწლიურ რუტინაში რაც იცვლება — მხოლოდ ის, რომ დასანთებ სანთლებს ყოველ წელს მორიგი სანთელი ემატება.

ჭადრაგის ხიზნანი

გიყვარს ასეთი შემოდგომა — გიყვარდა სულ და ბავშვობიდან გამოყოლილ ამ გრძნობას დღემდე უფრთხილდები, გაფორიანებს, როგორც ძველი წერილი (წიგნში ნაპოვნია)... ერთ ცალ ფოთოლს მონყევებს ქარი და დაწვავს გახლის, და ფოთოლი არა — სახეში, გულზე გხვდება, ძმაცაცისაგან მოქნეული ხელივით.

არი ზაფხული, ადრიანი — ღონიერად აცხუნებს მზე, შორს ეგრისის ქედი მოსჩანს ლურჯად და მკაფიოდ, ღრმა ნაოჭებში ეგრისის ქედს ჯერ კიდევ შემორჩა თოვლის ზოლები. ოდა სახლი. სამზადი. დაფნარი. მამა ყანიდან გამოვიდა — სიცხეა. სიცხეა — სული მოითქვა (თოხს იქნევადა სისხამი დილიდან), სანამ სადღისი მომზადდება, ბავშვები ჩეროში ვსხედვართ, მამა კი — მამაჩემი — „ალუდას“ გვიკითხავს.

თითქმის „ათას ერთი ღამე“

ასე ამბობს ძველი ლეგენდა: იყო ტირანი მეფე — ზღაპრულად მდიდარი, ჰყავდა ბევრი ცოლი და, შვილი კი — მემკვიდრე — არ ჰყავდა.

მარმარილოს დიდ სასახლეში ცხოვრობდა თვითონ, სასახლის ირგვლივ იდგა სახლები, სადაც ცოლები ცხოვრობდნენ (სტენდ ზეა ნახატი —

გრაფიკული გეგმა ზედხედით), ყოველ საღამოს მეფე გალავნის გარეთ საყვარელ მამალს უშვებდა და რომელ სახლთანაც მამალი

ჩერდებოდა — შეჩერდებოდა, — სწორედ იმ სახლის ბინადარ ცოლთან იყოფდა ღამით სარეცელს... და თუ მამალი ერთი და იმავე

სახლთან ორჯერ გაჩერდებოდა ზედიზედ, მაშინ ახირებული ტირანი იმ ცოლს სიკვდილით სჯიდა და თავის ეზოში, გალავნითან

მარხავდა და, სამგლოვიარო ტანსაცმლით, ყოველ კვირადღეს, დილით, მათ საფლავებზე გადიოდა და გლოვობდა, გლოვობდა... — განა, მართლა

ასე იყო?! ეს ლეგენდაა, მაგრამ შენ ისე ბრაზდები, შენი თვალების შიდა კუთხეებიდან ცრემლების ძაფები მოძვრებიან.

„— საქონელი!“ — ამბობ მეფეზე, მერე გასცქერი გეოლოგიურ ამ ნარმონაქმნებს, რომლებიც თითქოს საფლავის ბორცვებია

დედოფლების... მალიმებს შენი ფემინისტური გულუბრყვილობა, გულუბრყვილო ვარ თვითონაც, მაგრამ შენ ვერც კი შეგვედრები.

და ასეთი მიყვარხარ („— მეფე დახოცილ ცოლებს ახლებით ცვლიდა.“ — აგრძელებს გიდი)... ეს ლეგენდები... ეს ძველი ლეგენდები...

აგვისტოს ცხელი შუადღეა და აივნიდან ვიყურებით მე და ტიდა: მწვანე მინდორი — მოლივლივე; უღრუბლო ზეცა — ლურჯი ზეცა — ზევიდან. იყო დრო, როცა მზიანი დღე ცოტა მოტკბო და უსაშველო სევდას მგვრიდა... ახლა, უბრალოდ, ვერც — ზაფხულს და ვერც მზიან დღეებს დასანახად ვერ ვიტან!

ღამეყაპი პოეტი

პირველ კრებულს ფურცლავს და ყნოსავს (გამომცემლობამ წელან გადასცა — ლექსებს, რომლებიც იცის ზეპირად, კითხულობს თავიდან, დანათის

თითქოს თავზე ყველა მზე, რაც ჩვენს გალაქტიკაში ბრწყინავს), ახარებს, როგორც მეექვსე კლასელ მოსწავლეს — მოსწავლის პირველი ბარათი.

რას ფიქრობს ქალი, რაზე ფიქრობს, როდესაც მიდის და — სხვასთან არ მიდის, ისე მიდის — კონკრეტულს არაფერს იბარებს, ცდილობს დამტკიცებას რაღაცის, რაღაცის დამტკიცება სურს, ტანსაცმლის და ფეხსაცმლის კარადებს აცარიელებს... წერილს წერს და ტუმბოზე — მოდიდან გადასულ წესსაც იცავს — ტოვებს (ადრესატს დახვდება ბუნდოვანებით გასვებული ფურცელი — ქაღალდი)... რას ფიქრობს ქალი, მასში ამ დროს რა ხდება, რა ხდება?!

ვაჟას მეტრო — მეტროსადგური — ვაგონში ვზივარ, ხალვათობაა, შენ უნდა შეგხვდე მარჯანიშვილზე და ვგრძნობ, რომ ეს არი ფინიში —

ფინიშისკენ — ფინიშისაკენ — ხრიგინ-ხრიგინით, თავანწყვეტილი, მივემართები, მოემართები იმავე, იმავე ფინიშისკენ

შენც — მანქანით... ჩვენ ვართ წერტილის ნახევრები და, როცა შევხვდებით, როცა დავვდებით სადმე გვერდიგვერდ, წერტილიც შეერთდება.

მაშინ, როცა ჩემთვის ძვირფასი — ან გარდაცვლილი — დიდი პოეტის კრებულს ვკითხულობ და ძველებურად სიტყვები, ფრაზები, ტაეპები

გულზე მხვდება, სისხლში აღწევს და ცრემლებს მგვრიან — ვინ დამაჯერებს, ვინ დამაჯერებს, რომ ამ ყველაფერს იქ არ გრძნობს ავტორი, სადაცაა?!



ქუჩა ისევ დაფენილა ფოთლით ხეებს ისევ დაჩნევიათ სევდა, შევაროვებ წელსაც ყვითელ ფოთლებს და კაბასაც მოვიზომავ ხეთა. მზისფერ ფოთლის კვლავ დავიდეგამ გვირგვინს, სამეჯლისოდ ლამაზ ფერებს ვარჩევ, გულისნადებს მოვუყვები ჭადარს და სტრიქონებს მის ფოთლებზე დავწერ.

დაღლილ სულით ვეხები როიალის კლავიშებს, და თითები სევდიან მელოდიას კვლავ ირჩევს. ქრიან ლურჯი ქარები, მე კი ისევ ავად ვარ, ქრიან ლურჯი დღეებიც და არ ვიცი სადა ვარ. დაღლილ თითებს შევავებ როიალის კლავიშებს, დაღლილ სულის შესაფერ მელოდიას ავირჩევ.

შემოდგომის სარინადა

შავ ზღვაზე თეთრი გემი, ფეიერვერკი ცაში, საღამო პოეზიის, ლურჯი ტალღების ტაში მზისდარი ოქტომბერი, ლექსი ფოთლებად ცვივა, სერენადები ზღვაზე, ღამის ბათუმის ბრწყინვა. ზვირთმა დაგვიკრა თავი, სიტყვამ გაშალა ფრთები. მზისფერი შემოდგომა, შავ ზღვაზე თეთრი გემი.

ქარებმა ისევ სული არია, ცრემლით და ქვიშით ამივსო თვალი, ხვალ გავიღიმებ, დღეს არ მცალაია, ხვალ მზეც ამოვა, გამათბობს დაღლილს. წვიმა ასრულებს ნაცნობ არიას, მუქი ფერებით აზავებს აკრილს... ხვალ გავიღიმებ, დღეს არ მცალაია ხვალ მზეც ამოვა, მოიყვანს აპრილს...

მეწამლედი ტკივილის გრძობა აღვიძებს ზახარის. ცდილობს, ჩუმად ადგეს. სიყვარულით და სიამაყის გრძობით უყურებს ცოლს. პატარაობაში ბიძის მიერ ნათქვამი სიტყვები ახსენდება: ისეთი ქალი უნდა დაიყენო გვერდით, რომ დილით, გაღვიძებისას, მისკენ გახედვის არ შეგვიძინდეს. დღეს იუბილარია — სამოცი სერიოზული თარიღია. წლები საოცრად მალე მიფრინავს. გულით ისევ ახალგაზრდაა, სხეული კი ძველებურად აღარ ემორჩილება. ფეხებზე, წვივების უკანა მხარეს, კარგა ხანია, თმებმა ცვენა და კანმა აქერცვლა დაიწყო. გახსენდება ნინო, რომელიც სულ თეთრი ნაფიფქით დაეფარა. ადგა და ბანაობის შემდეგ მკვებავი კრემის ნასმა დაიწყო. კბილებზე პრობლემები შეექმნა, მეგობარმა, ცნობილმა სტომატოლოგმა, ჯერ რამდენიმე იმპლანტი ჩაუსვა, მოგვიანებით „ხიდებიც“ გაუმართა. საიდუმლოდ იმასაც გეტყვი, სექსუალური ურთიერთობებში ადრე ზედმეტად აქტიური იყო, რამდენიმე წელია, რაც ნაკლებად მონდომებულია და ხანდახან მეუღლე რომ გააკვიროს, ჩუმად წამალსაც კი ყლაპავს. ერთხელ ხათუთამ ამ წამლის კოლოფი იპოვა, არ შეუმჩნევია, არ შეულახა თავმოყვარეობა მეუღლეს. როგორც შეუძლია, ებრძვის სიბერეს, მაგრამ ბრძოლა უთანასწოროა, შეუსაბამო კატეგორიები ეჭიდებიან ერთმანეთს. ყველაზე მეტად ხერხემლის ტკივილი აწუხებს. საკმარისია, რვა საათზე მეტი იძინოს, ტკივილი აღვიძებს.

ხალათს იცვამს, აივანზე გადის და წუთით ძელზე ეკიდება (მეტს ვეღარ ქაჩავს), შემდეგ ფრთხილად ეშვება სიმალიდან, შეგება გრძობს, ეს პროცედურა შევლის. აბაზანაში შედის, დილის რიტუალს ასრულებს — სუფთად გაპარსული, პატარა ბიჭვით სპორტულად ჩაცმული, სუნამოს იპყრებს და სახლიდან გადის.

გაზაფხულია, ფანტასტიკური ამინდია, ცოტა თბილად მოუვიდა ჩაცმა, ასაკში ესეც მოსულა. ქოქავის თავის ახალგაზრდულ, სპორტულ ავტოს და ორთაჭალისკენ მიემართება. რამდენიმე წელია, დაბადების დღეზე რიტუალად ექვცა დაშლილი ორთაჭალის (გუბერსკის) ციხის ტერიტორიის პატარა ეკლესიაში წასვლა და ლოცვა. ცოლს და შვილებს ცალკე ავედრებს უფაღს, გარდაცვლილებს (ვინც ახსოვს), მშობლებით და ბებია ბაბუებით დანყებული, დაუნთებს სანთელს და გონებაში მათ სახელებს წარმოთქვამს. შემდეგ მეგობრების ჯანმრთელობას შესთხოვს წმინდანებს. ბოლოს კი უფაღს პატივებს სთხოვს, რამდენჯერმე, გულწრფელად, თან რაღაცას ბუტბუტებს. თავისებური რწმენა აქვს იუბილარს. ტაძარში ხშირად დადის, მაგრამ მღვდლებს ერიდება. აქ ახალგაზრდა, სიმპათიური მოძღვარი, მამა დავითი სწირავს, სცადა მან ზახარისთან რამდენჯერმე საუბრის დაწყება, მაგრამ ამაოდ. დაუჩემებია, იმდენად ცოდვილი ვარ, რომ გულს ვერავის გადავუშლიო.

ორგანიზაციული საკითხები მოგვარებულია, დიდ ოთახში ისეთი სუფრაა გაშლილი, რომ ლამის გელაპარაკოს. ამით ხათუთამ (ასე მხოლოდ ზახარისი მიმართავს) იუბილარს კიდევ ერთჯერ აუხსნა სიყვარული.

ხშირად ეუბნება ცოლს:
— რატომ გიყვარვარ ასე? რა საყვარელი მე ვარ?
— ჩემო პრინცო, ჩემო თვალეხატულა, ჩემო „მწარე“, ერთადერთი ხარ! — ყოველდღე იმდენჯერ ეუბნება ქათინაურებს ქმარს, რომ მან საკუთარი თავის ირწმუნა და ვერ წარმოუდგენია, თუ ვინმე რამეზე უარს ეტყვის.

საზოგადოებაში საკმაოდ დიდ პატივს სცემენ ზახარისს — ნათესავები, მეგობრები, უზნელები განვლილი ცხოვრების გამო მონივნებით ექცევიან. მუდამ მძიმე, მაგრამ სამართლიან სიტყვას ამბობს. ისეთი ადამიანია, სათქმელს ნაჯახივით რომ დაგაჯახებს. ნათქვამს უფრთხილდება. მძიმედ დაგპირდება, მაგრამ ყველამ იცის, რაც უნდა რთული იყოს, ნათქვამი შესრულდება. ორი შვილი აჩუქა მეუღლემ — უფროსი გოგონა ნია და ნაბოლარა ტატო. ქალიშვილი ისეთი მომხიბლავი, გრძელფეხება, ნიჭიერი და, რაც მთავარია, თბილია, რომ შეძლო მამიკოს რკინის გულში შეღწევა. ტატო გვარის გამგრძელებელია, ცდილობს, ავტორიტეტ მამას მიბაძოს და სიტყვა-ძუნღი იყოს (საყვარელი). საკმაოდ მკაცრია ბავშვებთან, თავი ასე უჭირავს; სინამდ-

ვილეში მუდამ მათზე ლოცულობს, ლამის ხატებად ჰყავს ისინი. კარგი შვილები გაუზარდა ხათუთამ, მიუღებელს არ ჩაიდენენ, მშობლებს გულს არ დასწყევტენ. ნიამ თავისი ოჯახი შექმნა, საქმრო გააცნო მშობლებს და დალოცვაც მიიღო. ზახარისი ცალკე ესაუბრა მომავალ სიძეს. მოუწონა შეიღწევა. ბოლოს ერთადერთი პირობა წაუყენა მამუკას, რომ ნია უპირობოდ ბედნიერი უნდა ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში მასთან ექნებოდა საქმე, რასაც არავის ურჩევდა. ნიამ და მამუკამ ბედნიერი ოჯახი შექმნეს. შვილიშვილიც აჩუქეს — ულამაზესი, ზურმუხტისფერი თვალები ოლიკო, ბაბუს სიხარული. ეს მრისხანე კაცი პატარასთან სულ პატარა ხდება. ყველა მის სურვილს ასრულებს. ტატო კარგ გაზრდილ ვაჟაკად ყალიბდება. კარგადაც სწავლობს, ცდილობს, მამასავით ღირსეუ-



ლი იყოს, რომ მის სიტყვასაც ფასი ჰქონდეს. ისე, რთულია ასეთი მამის ჩრდილქვეშ ყოფნა. ოჯახი ბედნიერია, მაგრამ ზახარისი ხშირად გულწათხრობილია და განმარტოება უყვარს. ერთხელ, შემთხვევით, ცოლმა შეუსწრო, თვალეხიდან ცრემლი მოსდინდა და ვარაუდ. ხათუთამ არაფერი შეიმჩნია, არც არაფერი ჰკითხა. ღრმა სატიკიერი უღრღინის სულს, ყველას კი ჰგონია, რომ ბედნიერია.

ხშირად ამბობს ზახარისი, ამდენი პატივისცემა არ დამიმსახურებიაო, მაგრამ სიამოვნებს ეს დამოკიდებულება.

საიუბილეო სუფრას განუყოფელი თამადა ხელმძღვანელობს. დათავსებული სიტყვა-პასუხი, ამონარიდები პოემებიდან, ცნობილი ლექსები, გონებაში წერილობას რომ გაგიჩენს, საჭირო დროს სასაცილო ისტორიები — ყველაფერი ეს საოცარ ატმოსფეროს ქმნის. დიდი სამეგობრო შეიკრება, ყველა სხვადასხვა სფეროს და გაქონების ადამიანია. მათ ყველას იუბილარიადმი სიყვარული და მეგობრობა აერთიანებს. ზახარისის სადღეგრძელო პომპეზურად, განსხვავებული სასმისით ისმება, იმდენი საქებარი და თბილი სიტყვა ჟღერს, ლამის ცრემლი გადმოუვარდეს. უცბად ხათუთას მზერას იჭერს, რამდენი სითბო და სიყვარული იღვრება მისი თვალეხიდან. ნანობს, რომ მასაც არ შეუძლია თავისი უკიდევანო გრძობის გამოხატვა. ამ დროს ზახარისი თვალი უმტერდება და სულ სხვა გარემოში, დაახლოებით ორმოცი წლის წინანდელ პერიოდში, აღმოჩნდება...

აქ ჯერ ზახარისი არ არის. ცხრამეტი წლის თავმოყვარე, ფიზიკურად ძლიერი, განათლებული და უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი ბიჭია. ისეთ პერიოდში მოუწია დაკაცება, ქურდობა და შავი სამყაროს ნაწილად ყოფნა ყველას უნდოდა. ეს პატარა ბიჭები ერთმანეთს არაფერს

პატიობდნენ, ცდილობდნენ თავის დამკვიდრებას. ეს კი შესაძლებელი იყო სხვაზე გამარჯვებით. სულ მცირედსაც თუ დათმობდი, სისუსტედ გეთვლებოდა. ბიჭს სწავლა სწყუროდა, კარგი მოსწავლეც იყო, მაგრამ გარემომ სხვა ტალღაზე დააყენა. მარტო ნიგნების კითხვა დედიკოს ბიჭობად ითვლებოდა, ამიტომ უზნის ბიჭებშიც იყო გარეული. უზანს ჰყავდა ერთი ყოჩი, რომელსაც ყველა ერიდებოდა რთული და დაუნდობელი ხასიათის გამო. როდის რას მოიფიქრებდა და რაზე გაბრაზდებოდა, რთული გამოსაცნობი იყო. ამიტომ ლამაც (ზახარისი) ცდილობდა მისგან დისტანცირებას. ჩვენი გმირი კარგ მოჩუბრად ითვლებოდა, ნებისმიერი მონიწილმდევის ნაქცევა შეეძლო. ხშირადაც უწევდა მუშტის გამოყენება, ოღონდ უსამართლოდ ხელს არ აწევდა.

ერთხელაც უზანში სახლთან დგას და ძმაცკაცებს ელოდება. ამ დროს კორპუსის კუთხიდან ხმამაღალი სიცილი ესმის. რამდენიმე წამში დაფეთებულ, შემინებულ მეზობლის გოგოს, ინგას, ხედავს, მას სამი ჯეელი აჰკიდებია, რომლებიც ადგებით, უზრდელად ექცევიან. ლამა მამინვე შუაში დგება, აყოვნებს შეურაცხყოფლებს და ამით გოგონას აძლევს სამუალებას, სადა-რბაზოში გაუჩინარდეს. თავდამსხმელებში დათუქას (მოსარიდებელი ადამიანის) ამფსონებს ცნობს. ამის მიუხედავად, უკან ვეღარ იხევს. სერიოზული ძიძგილობა მიდის. ლამა ყოველთვის ცდილობს, გამოუვალი სიტუაციის სწორად შეაფასოს და როცა გარდაუვალია ჩხუბი, პირველ დარტყმას თვითონ აკეთებს. ამჯერადაც ასე ხდება. ინგება მუშტი-კრივი. სამი ერთზე, რთულია, ლამის დაჩაგრონ, ლამსაც კარგად ხედავს, მაგრამ ისინი უფრო გემრიელად არიან ნაცემები. მზაურზე მეზობლები მილიციის გამოძახებით იმუქრებიან, ამით სარგებლობს სამეული და გარბის. მარტო დარჩენილი ლამა სადარბაზოს კიბეზე ჯდება, ამ დროს ჩამორბის ინგა და თვალცრემლიანი ეხუტება გასისხლიანებულს. სველი ტილოთი სისხლის მოწმენდას ცდილობს და გაუთავებლად მადლობას იმორებს. ეს ამბავი ასე არ მთავრდება. სამეული დათუქას უყვება მომხდარს. მოსარიდებელი კაცი უსმენს მეგობრებს, ძნელია მათი გამართლება, მაგრამ პასუხის გაუცემლობა სისუსტედ მიიჩნევა, ამიტომ სულ სხვა ადამიანს აგზავნის სახლში და შეხვედრაზე იბარებს. ჩვენი ბიჭი ამაზე უარს ვერ იტყვის. არადა, ეს შეხვედრა შეიძლება, მისთვის სავალალოდ დასრულდეს — ან შეურაცხყოფას მიაყენებენ, ან სულაც შეიძლება, მოკლან. ამიტომაც სრულ სიფიქსს გეგმავს. მუშტით მოჩუბრის იარაღი არასოდეს ჰქონია. ძმაცკაცთან ეგულება

ძველი გადაჭრილი თოფი. ორ ვაზნას დებს ლულაში, ქურთუქის შიდა ჯიბეში მალავს და დათუქას სახლისკენ მიდის. აღელვებულია, ფეხები უკან რჩება, მაგრამ სირცხვილს არ დაუშვებს, საკუთარი სახლის კართან უნდა ესროლოს მჩაგვრელს. დათუქა ცოტა მოშორებით ცხოვრობს. ცდილობს, აუჩქარებლად იმოძრაოს, ყურადღება რომ არ მიიქციოს. მეცხრე სართულზე ადის და იქიდან უყურებს „ბირჟას“, სადაც მისი მტერი დგას საათობით. ლოდინი უწევს. ბედად წვიმას იწყებს, მისი ყურადღების ობიექტი კი სახლისკენ მიდის. დათუქა მერვეზე ცხოვრობს. ლიფტი მერვე და მეცხრე სართულს შორის უნდა გაჩერდეს. კაბინა იწყებს მოძრაობას, წამებში კარი გაიღება, მთავარია, მარტო იყოს. ლამა კაბინის წინ დგას, ხელში გადაჭრილი თოფი უჭირავს, ჩახმახები მომართულია. ორივე სახსლზე თითო თითო აქვს გამოდებული, ხელისგულები უოფლიანდება. ამ დროს იღება კარი და დათუქა სიკვდილს უყურებს თვალეხში. ისმის ზედიზედ ორი გასროლის ხმა. ყველასათვის საძულველი ადამიანი საკუთარ სისხლში ცურავს, თან პერიოდულად ლიფტის კარი ეჯახება მის ხელს. ლამა დაგეგმილად კიბეზე არბის, შემდეგ სახურავზე, გვერდითა სადარბაზოდან გადის და იქაურობას ტოვებს. მუხლები უკანკალებს მოძრაობისას, ამ დროს გონებაში ხედავს ყველას მჩაგვრელის მხედლ გამოხედვას და სიამოვნებისგან აფრთხილებს.

სამი დღე მიმალავია. მშობლები სოფელში არიან, არც იციან, მათი ერთადერთი ვაჟკაცი რა დღეშია. კოზმანა უზიდავს საქმელს და წყალს. მისგან იგებს, რომ მძიმედ დაჭრილს ოპერაცია გაუკეთეს და გადაარჩინეს. დიდი შანსია, ინვალიდი დარჩენს. კორპუსის სხვენზე პოულობს მილიციას. ბორკილდადებული ჩამოჰყავთ და ყველას თვალის დასანახად სვამენ მანქანაში. ქალაქის სამმართველოში, დაკავების იზოლატორში, ჰყავთ გამოკეტილი, ყოველ საღამოს გაჰყავთ მილიციელებს ბორკილდადებული და უზაგუნებენ, თანამზრახველების დასახლებებს სთხოვენ. რა უნდა თქვას, როცა მარტომ დაგეგმა და გააკეთა ყველაფერი. თოფზე ამბობს, რომ მისია. წამების მერე წყალს ასხამენ, სხეული უსივდება, ამიტომ თითის დაკარგვაც კი საშინელ ტკივილს იწვევს. ერთ-ერთ მილიციელს ხელგმეკრული ბიჭი შეჰყავს წამების ოთახში. კედლებზე წითელი ლაქებია.

— ეს შენაირების სისხლია, ხედავ? შენაირი მკვლელების!

— მე ხომ არ მომიკლავს?

— რომ ესროლე, რა იცოდი, რომ გადაარჩებოდა?

ამაზე პასუხი არ არის. სამაგიეროდ, „კანონის დამცველი“ კუთხეში აყენებს არასრულწლოვანს და როგორც ქვიშის ტომარას მოკრივე, გამეტებით ურტყამს სახესა და მუცელში.

— ჩხუბი თუ გინდა, გამიხსენი ხელები და ვნახოთ, ვინ აჯობებს, — ეუბნება ლამა.

— ეგლა მაკლია, შენაირ ლლაპს ხელი დავარტყმევი, — ისევ აგრძელებს მუშტებით, „მუშობას“. მალე იღვება და ქოშინით გადის ოთახიდან. ცოტა ხანში სამნი შედიან ჯოხებით შეიარაღებულნი. ჯერ წყალს ასხამენ, ცოტა ხანს იცდიან და იწყებენ „მუშობას“. სამი ხელი ერთდროულად ბზრიალებს, შეთანხმებულად ვერ მოქმედებენ, ხშირად ჯოხები ერთმანეთს ეჯახება. კარზე ბრაზუნია. ვილაც მალაჩინოსანია მოსული.

— რა გითხარით, მე თქვენი დედა მოვ...ნ, ხის ჯოხით ნუ სცემთ, აჩნდება, ხომ გაგაფრთხილეთ? — ერთი ჯოხი ეთიშება წამებას. ესეც ხომ შელავათია.

ლამას მამა, ზაქრო, გურჯაანის სკოლის დამთავრების შემდეგ სასწავლებლად თბილისში წამოვიდა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩაირიცხა სამშენებლო ფაკულტეტზე. მოძველებილი კახელ ჯეელს, კარგი იუმორის და თამაობის ნიჭით დაჯილდოებულს, ყველა ოჯახში სასურველ სტუმრად იღებდნენ. უმაღლესში კარგ წრეში მოხვდა. სამეგობრომ კარგ დამსახურშიც მოახყო და ოჯახის შექმნის სასაც გვერდში დაუდგა. როგორც კი შვილის დაკავების შესახებ გაიგო ზაქრომ, ჩართო სამეგობრო და ზუსტად აღნიშნული მომენტიდან წყდება ლამას წამება. მალე ორთაჭალის ციხეში გადაჰყავთ. კარანტინში შესული შოკშია. საკნის იატაკი მინისაა, ტუალეტის გვერდით ნაგვის გროვაა.

საკანში დასაჯდომი არ არის, რკინის კარკასებში, წესით, ფიცრები უნდა იყოს გადებული, მაგრამ სიცივეში პატიმრებმა ეს ფიცრები გასათბობად დანდეს. კარკასებს შორის დაჭრილი გადასაფარებლის ნაჭრებით ერთგვარი ბადა გაკეთებული, რომელშიც შევიდოდა, ჩაჯდებ, მაგრამ უბინდურესია — თუ ახლოდან დააკვირდები, დაინახავ, რომ ზედ ბაღლინჯოები და მსხვილი ტილები დაბობლავენ. მართალია, ჩვენი ბიჭი ძლიერ ნაცემია და გადაადგილება უჭირს, მაგრამ მთელი ღამე ფეხზე დგას და წინ და უკან მოძრაობს. ღამით გოჭის-ტოლა ვირთხებიც გამოჩნდნენ. ასეთ პირობებში ცხოვრება შეუძლებელია, ღამის სასონარკვეთილება ეუფლება. ბიჭი კაცს ეკითხება: სხვა საკნებშიც ასეთი სიბინძურეა, თუ როგორ არის? არა, ძმობილო, იქ ბევრად უკეთესი პირობებია. ამ ორიოდ სიტყვის შემდეგ შეუბნა გრძობა.

ზაქრო აქაც ყურადღებითაა. მეორედ დღესვე ახალგამომცხვარი დამნაშავე ბევრად უკეთეს, ოთხმოცდარვა ნომერ საკანში აჰყავთ, იქაც მეთვალყურეობის ქვეშაა, რამე რომ არ გაუჭირდეს. საკანში შესული ისეთ ოხშივარს გრძობს, სახელი რომ ვერ დაარქმევ. ოც ადგილზე ორმოცი ადამიანი სულადგმულობს. სულ სხვადასხვა გაქა-ნებისა და შესაძლებლობის პატიმარი სუნთქავს ერთ ჰაერს. აქ მიდის ბრძოლა არსებობისათვის. დაახლოებით ათი პატიმარია პრივილეგირებულ მდგომარეობაში და ნე-ეს საკუთარ სანოლზე, დანარჩენები კი ენაცვლებიან ერთმანეთს და რიგრიგობით სძინავთ. საკანს ჰყავს მაცურებელი, პიროვნება, რომელიც განსაზღვრავს აქ მყოფი პატიმრების ყოველდღიურ ყოფას, ყოველ სართულსაც ჰყავს მაცურებელი, რომელსაც საკნების მაცურებლები ექვემდებარებიან, ხოლო ყველას მაცურებლები არიან ქურდები, რომლებიც ორმოცდამეცხრე ნომერ საკანში სხედან. ისინი ათასობით ადამიანის ბედს განაგებენ. მათგან მოდის ბრძანებები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა. ვერავინ გაბედავს მათ ბრძანებაზე უარის თქმას, ავტომატურად „ბოზის“ იარაღის მიანებებენ და ყველა, ვინც ქურდული სამყაროს წევრად თვლის თავს, ვალდებულია, გაუსწორდეს ამ ადამიანს.

საკანში შესულ ღამას იქაური უფროსი უხმობს, საჭმელს სთავაზობს და თავისთან ახლოს, ფანჯარასთან, მიუჩენს ადგილს. წყალს აცხვლებინებს ხელქვეითს და ბანაობის საშუალებას აძლევს ახალ ძმობილს. ორიგინალური აბანოა ტუალეტში მოწყობილი. საკნის შესასვლელში, მარცხნივ კედელთან, არის ჩეჩმა, რომელიც სამი მხრიდან კედლითა შემოსაზღვრული, შესასვლელში ძველი გადასაფარებელია ჩამოკიდებული, რომელიც კარის ფუნქციას ითავსებს. წყალი კუსტარული მადულარათი ცხელდება. ტუალეტში მდგომ პატიმარს ზევიდან ასხამენ ცხელ წყალს, ასე ხდება შხაპის მიღება. მაცურებლები დილიდან იწყებენ აქტიურობას.

— აბა, კაი ბიჭებო, დაიწყეთ თამაში, საერთოს ფული სჭირდება.

ციხე თამაშებიდან შესული ფულით საზრდოობს. ნაგებულმა დათქმულ დროში, თანხა უნდა ჩააბაროს მოგებულს, აქედან ოცი პროცენტი პირდაპირ მიდის საერთოში, ეს სახელმწიფო კანონზე უფრო მნიშვნელოვანი წესია. დარღვევა მრავალნაირად ისჯება. როგორც წესი, საკუთარი ნებით არავის უნდა თამაში და ნაგება. სწორედ მაცურებლები ქმნიან ისეთ გარემოს, რომ უმრავლესობას ურჩევნია, ცოტა ფული წააგოს, რომ არ განანაწყინოს უფროსობა, ანუ ქურდები. ხშირად არის შემთხვევა, რომ საცხოვრებელი სახლის ან ბინის გაყიდვა უნევს ზოგიერთს, ნაგებულის ვერ ჩამბარებლის, ანუ „ფუფლოს“ სახელი რომ არ დაირქვან. აქ ეს ნოდება კეთროვანს ხდის ნებისმიერ, მათთან ურთიერთობა სირცხვილია ყველა პატიმრისთვის, მათთან ჭამა, ხელის ჩამორთმევა, მეგობრობა და ახლოს დაჯდომაც კი აკრძალულია. ისინი არიან გარიყულები. ამისაგან თავის ასარიდებლად ოჯახს აყიდვიან, რაც გააჩნიათ. რაც მეტი თამაშია საკანში, მით მეტი შემოსავალი აქვთ ქურდებს, ამით ისინი კმაყოფილი არიან. ამ ფულით ქურდები პატივს სცემენ ციხის ადმინისტრაციას, რითაც პრივილეგიებს იღებენ მათგან, რეჟიმი ნაკლებად მკაცრი ხდება ყველასთვის, ზედამხედველები პატარა-პატარა დარღვევებზე თვალს ხუჭავენ და მეტ-ნაკლებად ყველა პატიმარი გრძობს ამას საკუთარ

ტყავზე. ძალიან ბევრი აკრძალული რამ ხელმისაწვდომია თითქმის ყველასთვის. ამას ეძახიან ქურდულ „პალაქინას“. ამ პრივილეგიებით ქურდები და მაცურებლები ნარკოტიკსა თუ ალკოჰოლს, ქალებსა თუ სხვა ბევრ გასართობს არ იკლებენ, ცხოვრობენ მეფურად. რაც მეტია თამაში, მით მეტია ამქვეყნიური სიამოვნება. ვისი საკანიც მეტ ფულს გამოიმუშავებს, მას ქურდობისკენ მიმავალ გზაზე უმაღლეს იერარქთა კეთილგანწყობაც აქვთ. ამიტომაც საკნის თუ სართულის უფროსები ყველა მეთოდით ცდილობენ, აათამაშონ ყველა, განსაკუთრებით ახლები, სანამ გაერკვევიან სიტუაციაში. ერთ-ერთი გენერალი ღამაზე ყურადღების მიქცევას სთხოვს საკნის მაცურებელს. ამიტომაც ჩვენს ბიჭს „იდეალურ“ პირობებს უქმნიან. ვერავინ გაუბედავს მას თამაშის შეთავაზებას. ყოველი დღე ტყუპისცალივით მსგავსია. მხოლოდ, როცა ვინმე ახალი შემოჰყავთ, შეიძლება, რამე საინტერესო მოხდეს, ძირითადად, ცუდი, კარგი ამბავი ციხეში იშვიათად ხდება. მაგალითად, თუ ვინმეს უშვებენ თავისუფლებას.

ერთ დღეს მძიმე რკინის კარი იღება და ახალი პატიმარი შედის. კარი იხურება, იგი სერიოზული სახით აკვირდება ყველას და პირდაპირ მაცურებლისაკენ მიდის. ხმას იღებს თუ არა, ღამა აქცენებს ცნობს, ასი



პროცენტით გურჯაანელია. მაგარ ბიჭს თამაშობს, მაგრამ ცოტა ცანცარას შთაბეჭდილებას ტოვებს. ღამა თავისთან ეძახის მას, ახალი ნოდარჩის სახელით ეცნობა. ეს ყოველივე ცოტა კომიკურად ჩანს. მამამისის ავტორიტეტული მეგობრების სახელეებს უხსენებს კახელს, პირადად არც ერთს არ იცნობს და ცდილობს, სხვა თემაზე გადაუტანოს საუბარი. ღამა მის გვერდით განთავსდებულ ადგილს სთავაზობს ნოდარჩის, საჭმლით უმასპინძლებდა და ჩუმად აფრთხილებს, არ თამაშობს არავითარ შემთხვევაში. ისეთი შთაბეჭდილება რჩება ჩვენს გმირს, რომ ახალი მის ნათქვამს ყურადღებას არც აქცევს. აქ არავინ მამიკოდ ვერ და არც გაგვიხდება, ყველას თავისი გასჭირვებია, კარგ რჩევას დაჯერება უნდა. ნოდარჩის სულ მაცურებლის გარემოცვისკენ მიუხედავად და გულში. ღამა თავს იმპოვიტებს, ყურადღება ხომ მიაქცია, რჩევებიც მისცა, ბოლო-ბოლო ყველამ თავის თავს უნდა მიხედოს. დასაძინებლად ემზადება. ხმამაღალი კუთხური გინება აღვიძებს. ნოდარჩის ხმას ცნობს, სწრაფად ფხიზლდება, ხედავს, ახალი, მაცურებელთან და კიდევ ორ ტიპთან ერთად, ჯოკერს თამაშობს ფულზე. უცხო პატიმართან წყვილში მაცურებელს და მის მეგობარს ეთამაშება. ეს ხომ დახვრეტაა. ჩათვალე, რომ მარტო ეთამაშები სამ მონინაა-ლმდეგეს. უეჭველი განწირული ხარ ნაგებისთვის. მენყვილევ იმაზე თამაშობს, მას ნაგებინოს. ასრულებენ პირველ პარტიას და ბოლო ადგილზე, რა თქმა უნდა, ნოდარჩი გადის. მსუყე თანხა აქვს ნაგებული. კიდევ თხოვს თამაშს, ფიქრობს, ახლა მოიგებს და ნაგებულს გააბათილებს. მაცურებელი ეუბნება: ჯერ ეს ფული ჩაგვაბარე და მერე ვითამაშოთო. გაბრაზებული ნოდარჩი ღამას მიერ მიჩინო ადგილზე ბრუნდება და ბურტყუნებს თავისთვის. ჩვენი ბიჭი დროს იხელთებს და ეუბნება:

— ხომ გაგაფრთხილე, არ გეთამაშა, მითუმეტეს ჯოკერი, სამს ეთამაშები და რა შნის გაქვს? როგორ უნდა მოიგო?
— სამს რატომ, მენყვილევ ხომ მყავს?

— შენ, მგონი, ვერაფერს ხედე, მეტი აღარ ითამაშო, რაც ნააგე ჩააბარე და მოგება დაივიწყე! თავი შორს დაიჭირე, თორემ სიცოცხლეს ნაგაგებინებენ!

ამ დროს მაცურებელი დაიბრა მათკენ, საუბარიც შეწყდა. ლოგინზე ჩამოუჯდა ნოდარჩის და მხარზე ხელი დაჰკრა:

— ჰაა, ნოდარჩი, ძმა კაცებში დარეკვა ხომ არ გინდა? გათხოვებ ტელეფონს.

— ჯერ არ არის საჭირო.

— ფული თუ გიდევეს სადმე, ვინმემ ხომ უნდა მოგვანოდოს?

— შენ მაგაზე არ ინერვიულო, დათქმულ დროს მიიღებ მოგებულს, თუ ისევ დარჩები მოგებაში, — ნიშნისმოგებით ეუბნება გურჯაანელი და იქვე აგრძელებს, — ერთი პარტიაც ხომ არ გვეთამაშა?

— ჯერ თავანი ჩაბარდეს, მერე კიდევ ვითამაშოთ, მალე მაინც ვერ გავალთ ვერც ერთი აქედან, — თქვა და ტუალეტისკენ დაიძრა.

— ბიჭო, დაილუპები, აღარ ითამაშო, გეუბნები, ცხოვრების წილში ჩაგიჯდება, იცოდე.

— ჭკუის სწავლებას ჯობია, ჩემი მენყვილე გახდე და მოუფოთ ამათ ბევრი ფული.

— მე თამაშს არ ვაპირებ, თუნდაც შენი გულისთვის, ისე, რომ იცოდე ჩემთან ეგენი არ ითამაშებენ.

— ვითომ რატომ?

— იმიტომ! მე ჩემი სათქმელი გითხარი და შენი საქმის შენ იცი, — ეუბნება ღამა და ზურგს აქცევს. მოგვიანებით მოგებულთან მიდის:

— მე არა მგონია, ეს ახალი ფულიანი იყოს და ჩემი თხოვნაა, მეტი აღარ ეთამაშოთ.

— ჩვენ შენს საქმეში ვერევი, ძმაო? შენც ნუ ჩაერევი, ხომ იცი, აქ ყველამ თავის თავს უნდა მიხედოს. ნოდარჩი ყოჩალი ბიჭია და არ გაუჭირდება ნაგებულის ჩაბარება, — ბოლო წინადადება ხმამაღლა უღერდება ნაგებულის ასაგდებად. ნათქვამი მიზანს აღწევს, ნაგებულს სულ არეული აქვს გონება. კიდევ რამე რომ თქვას ჩვენმა ბიჭმა, უწყინარი საუბარი აუცილებლად კონფლიქტში გადაიზრდება, ამიტომაც უკან ბრუნდება. გულით უნდა დაეხმაროს, საღამოს ისევ იწყებს ნაგებულთან საუბარს. გადასახდელი თანხის ციხეში შემოტანაც ადვილი საქმე არ არის, ადმინისტრაციაში მინიმუმ ნაცნობი გჭირდება, ან მაგაშიც თანხა გადასახდელი. თავისი მხრიდან დახმარებას სთავაზობს, რომ მოუტანენ ფულს, დაურეკავს ნაცნობ კონტროლიორს და ისიც შემოიწავს. ნოდარჩი ძალიან უყურადღებოდ უსმენს, თითქოს სხვა რამეზე ფიქრობს.

დღეები ზღაზღნით გადის. ამასობაში ნოდარჩის სურსათი და ტანსაცმელი შემოუგზავნის. გულუხვად გასცემს საჭმელს, თვითონ კი უხალისოდ მიირთმევს „კახურ მოსაკითხს“. ცივად მოხარშული დედლები, ერთჯერად ჭიქაში ნიორწყალიც აქვია, გუდის ყველი, შოთის პურები, მწვადი თხელ ლავაში გადახვეული ჯერ კიდევ თბილია, ხბოს ბეჭი, ქორფა კიტრი, პომიდორი და ყველანაირი მწვანილი, ტკბილეული და სხვა კიდევ ბევრი გემრიელობა. ასეთი მოკითხვა გაფიქრებინებს, კახელი ბიჭი შეძლებული, მდიდარი ოჯახის შვილია. მაცურებლები და მათი ამფსონები ფიქრობენ, რომ ცოტა მოუგეს მას და იქნებ კიდევ დასვან სათამაშო. ნოდარჩი სერიოზულ ძღვენს უგზავნის სართულის მაცურებლ-

ებს, უნდა, მათი კეთილგანწყობა მოიპოვოს. ღამას ეს არ მოსწონს, მაგრამ ვინ უჯერებს. მეორედ დღეს საკანში შემოდის კორპუსის მაცურებელი, ადგილობრივები ფეხზე დგებიან და დიდის ამბით ეგებებიან უფროსს. გუდურიძი ძღვენის გამოგზავნის კითხულობს:

— გამაცანით გუშინდელი ძღვენის გამოგზავნი, მაღლობა უნდა ვუთხრა.

ნოდარჩიც აქვია.

— მაღლობა გადაეცი დედიკოს და მამიკოს ასეთი პატივისცემისთვის.

საკნის მაცურებელი სთხოვს „უფროსს“ გვერდზე გასვლას. ეგრევე საქმის კურსში აყენებს, რომ საკამო თანხა აქვს ნაგებული „კახელ ბიჭს“. ფულის რაოდენობით ინტერესდება გუდურიძი, არ არის პატარა თანხა. ყურმილს ჩაწერს უფროსს, რომ ასეთი ძღვენის გამოგზავნი ოჯახი უფრო მეტ თანხასაც გადაიხდის და ამიტომ იქნებ კიდევ ათამაშონ და მაქსიმალურად ბევრი მოუგონ, რამდენსაც მოიტანს, ხომ კარგი და დანარჩენს დიდსულოვნად თავად აჩუქებს. დავალება მიღებულია. მაცურებელი გადის საკნიდან, ადგილობრივებს ხელ-ფეხი გახსნილი აქვთ. მეორედ დილიდან იწყება ნოდარჩის ავლება სათამაშოდ, ოღონდ პირდაპირ არ ეუბნებიან. როდესაც პატიმარს დიდი თანხა აქვს ჩასაბარებელი, ქურდულ წესშიც არ მოსულა მისი სათამაშოდ იძულება, რადგან ნაგებულს თავი „გახურებული“ აქვს და სულ ცდილობს, დაიბრუნოს ფული. სამწუხაროდ, შესაძლოა, იმდენი ნააგოს, რომ მთელი სანათესავოს ქონებაც არ ეყოს სახელის შესანარჩუნებლად. ამიტომ უფროსობისგან მიღებული თანხმობის მერე საკნის მაცურებლები უფრო თამაშები ხდებიან. ღამა ცდილობს, ოღონდ სხვებმა რომ ვერ გაიგონ ისე, დაარწმუნოს ნოდარჩი, არავითარ შემთხვევაში აღარ ითამაშობს, მითუმეტეს, ჯოკერი. თუ ასე ძალიან უნდა თამაში, პირდაპირ მაცურებელს ან რომელიმე მის მეგობარს დაუჯდეს ნებისმიერ სახეობაში, ოღონდ ერთი-ერთზე, სადაც ბევრად მეტი შანის აქვს. საკანში ჰაერი ძალიან გუბდება, ყველა გრძობს, ცუდი ამბავი დატრიალდება. ერთხელაც მიდის ღამა მოგებულთან და არ ურჩევს კიდევ თამაშს, ჯობია, აცალონ ნაგებულის მოტანა.

— ჩვენ ვიცით, რასაც ვაკეთებთ, რა შენი ძმაცაა ეგ ბიჭი, ასე რომ ესარჩლები? აქ არ ნახე პირველად?

ყველაფერი ნათელია, ნოდარჩი განწირულია. ან ღიად უნდა დაეჯახოს ჩვენი ბიჭი არაკაცებს, ან უნდა გაჩუქდეს. გაჩუქება ჯობია, მართლაც რატომ უნდა ჩაჰყვეს საფლავში განწირულს, ვინ არის ბოლოს და ბოლოს ის მისთვის? პატიმარი, რომელიც გუშინ გაიცნო — არწმუნებს თავს ღამა და თავის ფიქრებში იძირება.

კეთილ რჩევას ითვალისწინებს „თავნის ქვეშ“ მყოფი, ჯოკერის თამაშზე კატეგორიულ უარს ამბობს, მაგრამ „დურაკას“ თამაშს იწყებს ორ მონანაღესთან ერთად, ისევე უთანასწორო და ამორეგული ასეთი ნაძლევი. ხდება საოცრება, ფორტუნა ნოდარჩის მხარესაა და საკამო თანხასაც იბრუნებს უკან, მონანაღემდეგები ცოფებს ჰყრიან. ცოტა ხნით, დასვენების მიზნით, თამაში წყდება. ჩვენი ბიჭი ახერხებს, ურჩიოს მის რაიონელს, დასჯერდება მოგებულს და სხვაობის დაფორმის თვითონაც მიეხმარება. მაგრამ ახლა უკვე საკნის უფროსები არ ასვენებენ მოგებულს, აგულიანებენ, იქნებ სულ გამოიგოს ძველი ნაგებული. როგორც ხშირად ხდება, ფორტუნა სულ არ გარგუნებს გამაჩვენებს და ნოდარჩმა დაიწყო ნაგება. თამაშის დასაწყისში თითო პარტიის მოგებით შედარებით მცირე თანხებს იგებდა, ახლა კი დიდ ფულს აგებს. პატრონი და გულშემატკივარიც არავინ ჰყავს, რომ გამოაფხიზლოს. ბევრი რალა გავაგრძელოთ, დღის ბოლოს ძველ ნაგებულს ერთი იმდენი ემატება. არაკაცები ზეიმობენ, ნოდარჩი განადგურებულია. მას კიდევ უნდა თამაშის გაგრძელება, მაგრამ არ თანხმდებიან მოგებულე. ჯუჯუნიჩის დავალება შესრულებულია. — უნდა დამეჯერებინა შენთვის, უნდა გავეჩრებოდიყავი! — სასონარკვეთილებას იძენს მისი ხმა.

შეუძლებელია, ასეთი ოდენობის თანხის ჯერ ნაგება და მერე გადახდა. ვერ გადაიხდის ნოდარჩი და გაუბედურდება. კიდევ ერთხელ მიდის მაცურებელთან ღამა.



ნინო დარბაისელი

მზემ ამონათა და ნისლი დაშალა,
ნათელს შეერიე? — შენც? — გულს საპყარო!

დაბლა — ყვავილები უშენოდ ხმებიან,
მალლა — ცის ორკესტრი ჟღერს თავგამოდებით,
კენტ ჰანგად ქცეული სივრცეს მოედები.

ამღერდა კოსმოსი, ღმერთო, რა ხმებია!
დასცქერ დედამინას, თანდათან შორდება
და თავდახრილები დგანან პოეტები.

რომი

დღედაღამ ასე სავსეა რომი,
ქუჩები მიაქვს წვირს,
ქვაფენილები — ძლივს გასაძრომი.
ჩვეულებრივად — წვიმს.

შემოდგომაა, გასაღიშონი
გვესმის ამბები, ჩემო,
ყველა კუთხეში ღვინო, ლიმონი,
უფასო ლიმონჩელო.

ფენაზე ფენა — ვერ მოსარევი,
მგონი, რვა არის სულ,
ისტორიისა გვითრევს მორევი,
და ძლივს-ღა ვითქვამთ სულს.

ცხელია — რომი, ვით ლაზანია,
ცხელი „რიკოტა“ სდის.
სადღაც, შორს ჩემი ალაზანია,
არე მოცდის და ცდის.

ვატიკანიდან რეკენ ზარები,
სხვებიც ერთვიან ზარს.
გვდევს ქიმერებიც — შესაზარები,
ვამჩნევთ სენატზე ბზარს

და ეძალევა მთელი მსოფლიო
რომს — გარყვნილსა და უხვს,
ნუხან, სირბილში გაგვდის ოფლიო
და ზარბაზანი ქუხს.

თან ვიბარებთ, თან გვენანება,
ხურდებს ფანტანში ვყრით,
რომს არ ჩვევია დაწვრილმანება,
რომს გააოცებ რით?

რამდენიც გინდა, აქე ტიბერი,
შენ არ მოგაპყრობს ყურს,
ჩვენ გავიცანით აქ ერთი ბერი,
გული მოსმენით ხურს.

მითებს და ამბებს გზად ვეჩხებთ,
ბევრს ვისმენთ საავდროს.
დაკიდეს პეტრე რომში ფეხებით
ქრისტესთან ბრძოლის დროს...

არაფერია აქ გასაწყობი,
ცას ხომ ვჭვრეტთ დაქარგულს.
ტურისტის თვალთ — ესაა რომი,
უცხო არ უხსნის გულს.

ამ ხეტილში — ღამეებს ნათევს,
სურვილს — ვერდასაცხრომს,
რომს ვერ მოვილევთ, თუნდ მის მეთავეს,
კვლავ დაუბრუნდეთ რომს!

გამგზილბელთა

რა ხმები მესმის ყოვლისმცოდნეთა!
ცხრა თვით სტუმარი,
ვინმე უცხო,
საკუთარ ქერქვეშ რომ ჩაგისახლდეთ,
თქვენში რომელი აიტანთ ნეტა?!

მან კი სტუმარი ტანით ატარა,
არ მოიშორა როცა პატარა.
ფიქრობთ — იმრუმა?
ცხრა თვე საკუთარ არსებაში გამოაშუშა
ბავშვი და ცოცხლად იმშობიარა.
მის თავზე რამ არ გადაიარა,
ოჯახს მიაგნო, ქუჩას კი არა,
ყოფას არცა რა მიუცია, რა!
თუნდაც მიეცა, ეტყოდა — „არა!“?
ვერც რომ დედობა ვერ აღიარა,
ტანჯვა ვერავის გაუზიარა,
ვერც მოიშუშა სულის იარა,
გული ცრემლებით გაიტიალა,

არ იცით? — გულს თუ წყლული ებევრა,
წყლულის ადგილას — ჩნდება ბებერა!
ტკივილს ვეღარ გრძნობს ბებერა იგი,
უხეში ხდება გული რარიგი!

შვილის გამჩენებს და გამშვილებლებს,
გაუგეთ ქალებს,

მდღერის ქიმიის
იუმორესკა

ციდან ვარსკვლავებს მოაზინებებს და
კაცის ფეხქვეშ დააფენინებებს,
მთლად გადალახავს სამყაროს ამას,
შორ აპალაჩებს თუ აპენინებს,
ქალს თუ ქიმიის მთარბენინებს,
ვიდრე ქიმიის მთარბენინებს.

როგორ ჰგონია, ვეტრფიო ტიტანს,
როგორ უმშვენებს რამე „ნიუ“ ტანს!
როცა გაუფლის (ვამბობ ნამეტანს?)
რომ იხრჩობოდეს, წყალს არ მიუტანს!

ახლად მოჭრილი იასამნები

რა სიხალავათა-მეთქი. უცებ ჩამობნელდა.
ტორნადო ყოფილა გამოცხადებული

უბერავს ქარი, ფეხდაფეხ მივდექ ძეძვებს.
რა დამემართა დღემდე მშვიდსა და სულ ნელს?!
გარეთ რა მინდა? იისფერ საპონს ვეძებ,
თხევად ქაფს, ხელზე რომ მიტოვებდა სურნელს,
ხოლო ქალაქში შეყუჟულია ყველა,
თურმე ტორნადო ქარიმხალს მოსდევს ავი.
ამ სიცივეში უცებ მიტყდება ხველა,
კი არ ვიძახი, უკვე დაღლილი ვხავი.
ველარც გირეკავ, სულ გათიშულა დენი.
თვალნი მიდგება შემთხვევა — რაოდენი?
ჩემი მშველელი — შენი მდგარი სული:
„მოვდივარ, მანდ ვარ! ნუ გეშინია მდევრის!“
მიშველე დროზე, გამომიტყუა, მდევრის
ახლად მოჭრილი იასამნების სუნი!
სულ რაღაც წამში ფილმად ჩამირბენს უცებ
ცხოვრება ჩვენი, ნარსული, გარდასული.
მოკლე ნაბიჯით ბნელში ვიკვალავ ქვიანს,
მაშინებს როგორ გარემო გასუსული,
გარეთ რა მინდა?! შევცდი, ვთქვი,
რას მიქვია
შიში, თუ მიხმობს იასამნების სუნი!
რა მესაბნება, ნაცარი დამეფრქვია,
მატულობს მსხვერპლი, დღე არის დანავსული.
ოქტომბრის ბნელში ვბჭობ ბრძენი თვითმარქვია:
— სუნი აქვს სხეულს და უსუნოა სული!

ჩაფარი

ჩვენში — ყოფილი პოეტები —
დაუნდობელი პოლიტიკოსები ხდებიან,
ხოლო თუ ძალაც ხელით ჩაუვარდათ,
სულ ტირანებად ყალიბდებიან
იმ სივრცეებში,
იმ საზღვრებში,
სადამდეც გასდით.
თითქოს გარემოს ეუბნებიან,
ის — კარგი იყო?!
მთელი ღამე
გაყინული,
მშიერ-მწყურვალი
მთვარეზე ჩრდილებს რომ ვეძებდით?
აბა, იგემე, ნახე ერთი, როგორიაო! —
სულით მუსიკა რომ დაგაქვს და
ჰანგებს ხმაურით გიხმობენო,
წადი და ახლა შენ უყურე,
ვარდს რომ კოკორი გაეფურჩქნა,
იას რად გადახვეოდით.

თუკი პოეტი ცოცხლად გადარჩა,
ეს იმას ნიშნავს,

რომ იწვალა და პოეტად ყოფნა აიტანა
ყოფის ბოლომდე.

მაგრამ იცოდეთ,
ყოფილ პოეტზე ვერაგი და ცინიკოსი
ქვეყნად არასდროს
ჯერ არავინ დაბადებულა!
სხვა თუ გაგვიდის,
ის ისეთ იერს მიეფარება,
რომ მუქთად გაგცემს,
თან სუყველას დაამუნათებს,
გარედან მარად პირმოჩახჩახე,
სიბნელეში კი, როგორც იტყვიან,
ყველაფერზე ხელის მომწერი.

თუ სადმე ვერაგს გადაეყარე,
ჰკითხე,
— თქვენ ადრე ლექსებს წერდით
თუ ხატავდით?

(აქ — ხელოვანი იგულისხმეთ — გაფართობით!)
დიდი შანსია, რომ კითხვაზე არც გიპასუხონ
და ეს შანსია — უტყუარი დადასტურება,
რომ ყოფილ პოეტს ესაუბრებით.
პროზის?! —
ამბები მე არ ვიცი!

და ბოლოს თურმე
საბოლოოდ რომ რწმუნდებიან,
საიქიოში, ნემსი რა არის,
იმის ყუნწი კი დღემდე ვერავის ნაულიაო,
გაახსენდებათ, რომ პოეტებად დაიბადნენ,
და ახლა ისევე
პოეტად სიკვდილს ნატრულობენ,
ცდილობენ კიდევ,
მაგრამ პოეტად — ერთხელ მკვდრები —
მეორეჯერ ველარ კვდებიან!

შენ, პოლიტიკავ,
შესასვლელად — ღობევე დაბალო,
როგორ გაგივა, რომ კლანჭები შენი დაფარო,
დაგაბრალებენ, შენში მთელი ნიჭი ჩაეფალო,
შენ — მოთვალთვალევე,
ჩასაფრებულო მარად ჩაფარო,
ო, პოლიტიკავ,
ხელმოცარული პოეტების
უკანასკნელო თავშესაფარო!

რაკვიძი

პეტრარკული სონეტი პაატა გერგაიას

განვიცადე პაატა გერგაიას წასვლა, ორიოდ დღეში
მისი დაბადების დღე ახლოვდება და იმ დროს მეჭვება,
ფეიბუქი მქონდეს. მისნაირი მკითხველი სულ რამდენ-
იმე მყოფია ცხოვრებაში. ფართო ერუდიციასთან ერ-
თად, პოეტის მახვილი თვალი და ყური ჰქონდა, როგორც
მკითხველს, როგორც პოეტს — თავისივე ბადალი მკი-
თხველი სჭირდებოდა.

მე — ვერ გამოვადგებოდი.
ახლა შევედი მის გვერდზე, კიდევ ერთხელ წავიკითხე
რალაქები და მის თემებსა და განწყობებს ყველაზე
კანონიკური — პეტრარკას სონეტის (აბბა, აბბა, სდე,
სდე) მოდერნიზებული ვარიანტი მოვარგე. ვინც სონე-
ტის ჟანრობრივ ამბებში ერკვევა, უცებ მიხვდება, რას
ვეულისხმობ.

ნათელში იყოს პატონი პაატა!

ოდნავ გათენდა და გამოჩნდა პაატა.
ბალახში კუნტრუშებს პატარა ბატკანი.
ჩიტი აგალობდა? რომელი მათგანი?
ჯერ ცივა და სუსხი ძვლებამდე გაატანს.

ხმებით ათასგვარით იგებდა სამყარო.
ამ ხმებში შრიალებს ბალახი და ჩალა,

გაუგეთ ქალებს,
 დარდით ჩამქრალებს,
 გაკილავთ ნუკი,
 დაძრახავთ ნუკი
 შეხვედებით თუკი,
 ვინც გაიტანჯა, აკმარეთ განსჯა,
 სახით მლიმარის, გულით — მგლოველის!
 ცხოვრების მტვერი ცრემლში ლაფია,
 აქ სხვის სახსენლად ვინ გაისარჯა?
 ვინ ვისი მოსვა ან ქეძაფია?
 იქ ნასულს, ვიცით, ვის რა მოგველის?
 ვისთვის რა ღია ალაყაფია!

თეთრი ქიშპირის მოსასხამი
ქეთევან ირემიძის გახსენება

ქუჩაში — დილა მოსისხამო,
 დრო?! — ალბათ — მარტის ნასესხები,
 ქარ-წვიმა შეხვევებს მას ასხამენ,
 თვალი ვერ ეხსნება სურათს ხამი:
 ქალი! მარტოქალი! არა — სხვები,
 უდროოდ ჩამქრალი ის სხივები
 თმა — კუნაპეტი და მაჯისსიმსხო,
 თბილისს მიმავალი ეხსომება
 ის — თეთრი ქიშპირის მოსასხამით.

ტრიკლინიუმი. ღმერთი — ინახად

ამბობენ, მოსე პურობისას ფეხმორთხმით იჯდა,
 ფეხმორთხმით ისხდნენ პურობისას პატრიარქები,
 გამოხდა ხანი და რომაელ დამპყრობელთაგან
 ებრაელებმაც აითვისეს ტრიკლინიუმი —
 სამი მართკუთხა
 დიდი ტახტი,
 განლაგებული ნალისებურად,
 შუაში იმავ ტახტის სიმაღლე რაიმე ტაბლა,
 მეოთხე მხრიდან —
 ღია ალაგი — მომსახურეთა მიმოსასვლელი.
 რომ თავისუფლად მოეზიდათ საჭმელ-სასმელი.

მიწოლილ სტუმრებს წინ დაუდგეს ტაბლა ქალბმა,
 ბალიშ-მუთაქა დაუყარეს ტახტზე ასფერი.
 სერობის ჟამად
 მაცხოვარი იწვა ინახად.
 იყო მარცხენა მხარ-თეძოზე წამოწოლილი,
 ხოლო მარჯვენით საზრდოს იმას შეექცეოდა,
 წინ ედოთ თევზი,
 ცოტა პური,
 ხილის ჩირი და
 გაზავებული ღვინით საესე თითო ფიალა

უცებ იალა!

რაც გულს ანათებს,
 მადლი კი არა,
 ზოგჯერ მეხია!
 ფიქრის გორგალი გულზე დარდად რად დამეხვია?
 საიდუმლოსთვის, სჯობდა, გარსი არ შემომეხია
 და არ მეხილა, სინამდვილე რა უქმეხია.

ამა სოფლისა მბრძანებელს და დემონებს ემტრე.
 — ფარას გაბარებ,
 შენ დამწყსეო ჩემი ცხოვარი, — ვისაც უთხარი
 და სიმტკიცით კლდეს შეადარე, უწოდე პეტრე,
 მამლის მესამე დაყვივლებამდე
 სწორედ იმან სამგზის უარგყო.

ხოლო იმას კი,
 ვინც მექოთნეთა მიწისათვის ძლივს გასანვდენად, —
 ოცდაათ ვერცხლად შეგაფასა,
 ღმერთი გაყიდა,
 შეიქნა ვინაც მოკავშირე მბრძანებელთა ამქვეყნიურთა
 და ვინც
 საქვეყნოდ თავის ამბოროთ ქრისტეობა დაგიდასტურა,
 ერქვა იუდა.

თუკი საქვეყნოდ უარყოფა, სამჯერ,
 ზედიზედ — ლალატს არ ნიშნავს,
 და საქვეყნოდვე შენი ცნობა არის ლალატი,
 ვით ყველაფერი ამ ცხოვრებაში,
 თვით ღვთაებრივი მეგობრობაც კი
 როულია და გაუგებარი.

ამოცანაა ამოუხსნელად ჩვენნი მდებარე,
 ჩვენ რა ვქნათ, კაცთა,
 ვინც მოგენდეთ და მოგებარეთ!

სერობის ჟამად
 მაცხოვარი იწვა ინახად.
 რენესანსულად ვსევამთ მაგიდასთან,
 ვუჯერებთ ნახატს!

იესო,
 ქრისტე,
 მაცხოვარო მჯდომო ინახად,
 გზას აცდენილმა კეთილ მწყემსად შენ დაგისახა,
 გეძება რაკი, მონატრულმა, თქვა გულმან „აჰა!“

ან რომ ევედრე, ის სასმისი მამამ რატომ არ აგაცილა,
 ანდა სოფელმა ავი თვალთ
 რად დაგინახა!

სბირაბი*

ჩეზარე,
 ჩეზარე,
 ჩეზარე ბორჯია,
 შენი სანამლავი — მეფობის
 ბურჯია
 და მტერი ნაჩხვლეტი მაგ შხამით — ლურჯია,
 თუ შენი ურჩია?
 თქვეს,
 მაკიაველმაც — ბევრი რამ ურჩია.

სბირები,
 სბირები —
 შენი მსახურები,
 განა უბირები,
 რბიან ოქროულით გადანაბირები —
 ყველგან დაგიდიან განვრთნილი პირები,
 მადგახსნილები უხვი დაპირებით,
 შხამის ნემსს უჩხვლეტენ,
 სიკვდილს აპარებენ ღიმილგადაკრული
 ტუჩის ნაპირები,

არაფრად სჭირდებათ დაშნა-რაპირები,
 და კლავენ,
 ჩეზარე,
 ვისაც მოისურვებ
 კონდოტიერები — შენი ვამპირები!

როცა სიფილისი მთელს სხეულს მოედო,
 სახეზე იფერე ნილაბი,
 ჩეზარე,
 იყავი მკვნესარე,
 შენ, პაპის მეზარევე,
 სუყველა შეზარე,
 ჩეზარე,
 ჩეზარე!

და შემოგცქეროდა რარიგ ალტაცებით
 თვით მაკიაველი,

ნიკოლო, რჩეული!
 შხამიან ვაშლს თლიდი,
 სტუმარს გაუყოფდი
 და დუჟმოდინარე ძირს ეგდო ეული,
 შენ კი — არ კვდებოდი სანამლავს ჩევეული —
 მაკიაველისა გვიამბობს რვეული.

რა გინდა, ჩეზარე,
 რას გადაამეკიდე?!
 ეგ მინდა მე კიდე?
 ჩემს სიზმრებს შეეშვი,
 ცხოვრებამ დამარჭო შენ გარეშე ეშვი,
 მეც მიჩხვლეტ?
 რად მინდა ეგ სანამლავეები,
 ჩემივე მყოფნიან მტრები და ავები.
 რა შარში გავები,
 ჩეზარე,
 ჩეზარე,

ვიღვიძებ, ვცახცაცხებ,
 ბნელია ეს არე,
 როგორ შემზარე და როგორ შემეზარე,
 გული მჩხვლეთს, ჩეზარე,
 ვგრძნობ, თითქოს რალაცა დამთავრდა,
 მორჩა,
 ბორჯია,
 ბორჯია,
 ბორჯია,
 ბორჯა,
 სხვა ნახე მეზარე,
 ჩეზარე,
 ჩეზარე!

* სბირები — პაპის „საიდუმლო პოლიციის“ თანამშრომლები განვრთნილი ჩეზარე ბორჯიას მიერ, რომ გავლით, შხამიანი ნემსის ოდნავი ჩხვლეტით, მოეკლათ ადამიანი.

ყვავისათვალი

გზაზე ერთი ყვავი ნახო, — მიზნად ფუჭი დაისახო;
 გზაზე ორი ყვავი ნახო, — დასაძრახი დაიდრახო;
 გზაზე სამი ყვავი ნახო, — ტყუილები ბევრი ჩმახო;
 გზაზე ოთხი ყვავი ნახო, — დაიღალო, გაიღახო;
 გზაზე ხუთი ყვავი ნახო, — ინვალო და ივაგლახო;
 გზაზე ექვსი ყვავი ნახო, — გულს იმედი ჩაისახო;
 გზაზე შვიდი ყვავი ნახო, — მთა და ბარი გადალახო;
 გზაზე რვა თუ ყვავი ნახო, — თავი შახად შეინახო;
 გზაზე ცხრა თუ ყვავი ნახო, —
 ოთხივე კუთხივ იჩახჩახო;

გზაზე ათი ყვავი ნახო, — მოიხვნება შენი ახო;
 თუ თერთმეტი ყვავი ნახო, — რამე ხიფათს დაეჯახო;
 თუ თორმეტი ყვავი ნახო, —
 ვინმე მშველელს დაუძახო;
 თუ ცამეტი ყვავი ნახო, — ცას პირჯვარი გადასახო.



*
 შენი გზა არ ჩანს ჩემი სარკმლიდან,
 ჩიტებს — დაკარგულ დღეთა შავ მწკრივებს
 ვაბარებ: „მოდი, უკვე აცივდა“ ...
 და ვწვები,
 მაგრამ რა დამაძინებს.

რა დამაჯერებს, ვიდრე არ ვნახავ
 შენს მხრებზე ჩემი ფრთების ნარჩენებს.
 მწერ: „სიყვარულო, ცოტადა დარჩა“ ...
 ვმშვიდდები,
 მაგრამ რა მომასვენებს.

*
 ნეტავი ამოვარდებოდე, ქარო,
 თმები რომ მხრებსუკან გადმოფინო.
 გამაშორო ქარო — ნიავის ქმარო,
 ფეხმძიმე ფიქრები,
 სალოგინო...
 ღმერთმანი, სადაური ადათია —
 მე ვხნავდი,
 შენ მიწა დაამშეი.
 კალოზე ჩიტებია, ამათია,
 რაც ხნულს მარცვავი ააცილე.
 ჰაუ,
 მზე ტრიალებს ჯარასავით,
 მიწაც,
 ბელელიც და
 პურის ყანაც.
 მორჩა! წამესვლება აღარსაით.
 მორჩა!
 ამის იქით ველარ წავალ.
 მასთან წადი ფეხშველო, თავშლიანო.
 ზამთარმა გული არ გაუცივოს,
 მენატრება, უთხარი — „დარდშიაო“,
 უთხარი — „გნახავს და გაუელისო“ ...

*
 რაც ფიქრი მღრღნიდა — დავწერე,
 რაც ვერ დავწერე — ვთქვი.
 რაც სულში მქონდა — დავთესე,
 რაც მოვინე — ვფქვი.
 რაც ხნულში ჩარჩა მარცვავი,
 მიწამ და ჩიტმა კენკა.
 დროს დროის მოკვლა ვაცალე,
 ან რალა უნდა მექნა...
 სხვა მინდა — სულ სხვას ვიტან და
 კარგს ველი — ცუდი მჭირს.
 „მიყვარხარ“ — სულს ჩამიდგამდა,
 შენ კი, რა გვიან თქვი.

*
 ...თუ სულ ერთია,
 მაშინ ვირჩევ კაბას —
 უმკლავოს,
 თმაში — ბრინჯაოს,
 ხალხში — ერთ კაცს,
 ღვთისსწორს, უბრალოს.
 ტყეში — ერთ ხეს და
 ერთ ძაღლს,
 უფრო ნაკლებ-ღრენიას
 და ჩიტებს,
 რაც მზით ნაბან მხრებზე
 დამეტევიან.
 თუ სულ ერთია,
 არ ვპასუხობ მეჩხერ მოკითხვებს.
 ჩემს ძაღლს და ჩიტებს,
 ჩემს ერთ ნაღდ კაცს
 ხელებს მოვკიდებ,
 ჰო, მივეჩვევი ასე ყოფნას,
 მარტო ხეტიალს...
 და იმ ხის ჩრდილში
 რაც ფიქრები გამომყვებიან...



გიო ზედვაკელი

ინსომნია

წლების მიღმა წლების იქით არ გიცნობდი ან აქეთა ცხოვრებაში გაგიცანი? — არა!.. ჩემო თვალგაშვარა. მაპატიე, ვერ დაგიდგინე იალბუზი მალაქიტის, რომ არ გაფრენილიყავი, ერთი კოშკი აგიმენე! გამოგაკეტე!

...და მყოფნიდა საძინებლად მკლავი შენი, სანამ ბედმა შუა ტყეში შაშვივით არ დამაფეთა. ვარ ტალახში ჩავარდნილი უხმო შავი კლავიშივით, შერცხვენილი საქართველოს

სოფლებთან და ქალაქებთან! ცხადად ნახველ ოთახიდან და ამ ნასვლას არ აკმარე ნასვლა ჩემი სიზმრებიდან.

სად არ გიხმობ, სად არ გეძებ: ხან — სახლის წინ, ხან — ქუჩაში, ხან — ტბისპირას, ქალაქგარეთ... არსად არ ხარ, არსად ჩანხარ!

მეჩვენება, რომ ჩემს ბედზე მთა იცინის, ცა ხარხარებს და წინწკლები მღვრიე სისხლის, როგორც კალმასს, მოსდებია მთელ ამ წყეულ დედამინას. თითქოს გული დამიკბინა გველმა — შავმა, მკლავისსიმსხომ.

ვერც ჭალარა დედაჩემის წრფელი ლოცვა ვეღარ მიცავს. ნუ გაქრები! ყოველ ღამით ცივი კიბის საფეხურზე ვზივარ, გულში ღაპა-ღუპით ჩამდის ცრემლი.

ავიხრჩოლე სიგარეტის ნაწინავებით ოთახები, გაზაფხული... შავ მორეცს რომ გადავურჩე, უშენობით დავიხრჩობი. დავდივარ და ტყეში ჩიტებს, ბზებს, იელებს ვუზიარებ გაუმხელელ დარდებს, სევდას... სად არიან მეგობრები? სად მოვკვდები ცრემლდამშრალი, მოხრილი თუ კუზიანი — აღარ ვდარდობ! — შენ თუ აღარ...

შენ თუ აღარ მიყოლები. თუ არასდროს გამიღიებ და მზე შენი კბილებიდან არ ამოვა, სხვანაირი გათენების არც კი მჯერა. მე ვერაფერს ამაშენებს, შენ თუ აღარ ინებე და სულ მექნება განცდა, ციხის დანგრეული კარიბჭე ვარ. კარი მრჩება, ანდა განგებ ვტოვებ ხოლმე ღიას ღამით, ღვივის გულში იმედები, საით აღარ დაგეძებ და ვფიქრობ, იქნებ შენც შემოჰყვე სიოს — ვარდით, იასამნით, სანამ თვალებს ავახელდე, იჯდე ჩემს ცივ სარეცელთან. ეს ამხელა უსაშველო ღამეები იყო რა დროს? თუ მე... მხოლოდ მე მგონია, თითქოს განგებ აგვიანებს გათენებას, რომ ნერვები დამანყდეს და გამომფატროს გული ღამის გამყინავმა ხმებმა... შენი დარდიანი სახე სულს წვაეს,

გულს მიჩქარებს ფოტოები, სურათები... და სტროფებიც აღარ ჰგვანან ლექსებს,

უფრო თეზისებად იცევიან. პოეტებიც, ალბათ, დამამუნათებენ — რომ მთის შვეური ნავთისა და თევზის სუნი, რომ გავეკრპდი, ბაგეთაგან ელვა აღარ მერეკლება, რომ დავბერდი და კაეშანს ვაბრიალებ ცეცხლის ალზე. თითქოს კრწანისგამოვლილი ბერი მეფე ერეკლე ვარ და ხელი მაქვს ჩაქნული ჩემს დარჩენილ ცხოვრებაზე. მე ვიზრდები, როგორც ფესვი, ყველა ჩემი მიწიერი შეცდომიდან და მომავალს ვასაზროვებ ტკივილებით; გაზაფხულის რომელიმე თვეში გამოვიძინებდი, დღეგამთბარი შენითა და შენი კაბის გვირილებით. გამომყვი! გთხოვ, გამომყე, გამო... გული მიდულს, მენვის.

სადმე მინდა შენთან ერთად ზღვაზე თუ მთის რომელიმე ყრუ სოფელში, რომ იმედად ვიყოთ თეთრი ღრუბლის ზენრის, მოდი, თუნდაც ვერ სიზმარში, მერე ცხადშიც მომევიწინე!

არც კი ვუსმენ, რას აცხადებს, რანაირია ამინდია, ხვალის პროგნოზს; მაგ შენს ხმაში იკვეთება დარიცა და ავდრის მოსვლაც.

ეს ხეებიც დგანან ჩუმად, გარინდებით, შენ სად მიხვალ, რომელ მხარეს?

ნუ გარბიხარ, დამიცადე! დამიცადე, დამი... ცამდე დამელოდე... ვერ ხომ დგომა შემიძლია... დავიფერებო მტვერი ჩემი ხაკისფერი სამოსიდან. კარს მომდგარა შენი ტუპილი შემოდგომა, ყველა ჩემი სიყვარულით სავსე ლექსი გაიხსენე!

ვსვამ ამ აბებს უძილობის და გადაშლილ კარაბადინს ვფურცლავ, ცხვრებიც დავითვალე ყველა მთის და იალალის.

ვერ მაშინებს ქვეყანაზე კაცი „ღმრთისგან დანაბადი“, მეშინია მხოლოდ შენი უსაშველო სიამაყის. ასე ვზივარ, ღვინით ხელში, ჩემ სოროში მიმალული, არ ვპასუხობ ზარებს! ლექსს ვწერ, მაგრამ ლექსი არ გამოდის: დაე, ლექსის ნაცვლად იყოს „გალობანი სინანულის“ და სხეული ეგდოს სხვენიზე,

როგორც მშრალი კალაპოტი — ამოცლილი სისხლისგან და დანრეტილი ცრემლისაგან. ვერ შევიძელ ფეხზე დგომა სიშლეგით და სილალით. ნუთუ ლექსებს უნდა შერჩეს სიყვარულის მთელი საგა და ერთი გზაც აღარ დარჩეს მომავლისკენ მიმავალი. თუ არ მოხვალ, მე მომიხმე, სინათლისკენ მომახედე, რაშს შევკაზმავ, მოვგელდები.

შენი თმების კელაპტრებით ავენთები... რა დამიჭერს? ვხურვარ ჩემი ორნახადი ლექსებით და უსაშველოდ, სიკვდილივით, მენატრები! ვერ მომქანცავს ხვესურეთის

გზა წვრილი თუ საცალფეხო, ვერც გველივით განოლილი სიგრძე კორდილიერების. არ დავუშვებ ისე სიკვდილს,

ერთხელ მაინც რომ არ ვნახო, ჩემი ბედნიერი სახე შენი მოთვინიერებით. და ყოველდღე სადღაც დავალ,

ვეძებ ნიშებს სალოცავად. ყველა სიზმარს ფლოქვის ხმა აქვს ჩემი თეთრი არაბულის.

მეტყვის ხშირად ღვთისმშობელი: „ეს ცხოვრება გამოცდაა“... „თქვენ ერთნი ხართ“... „დაიტანჯე“... „დაელოდე“... „დაგაბრუნებს“!

წვიმის კაცი

მე გადავწყვიტე: სამუდამოდ უნდა მეცქირა შენთვის და იქვე, შენი სახლის მოპირდაპირედ, სახლი ვიყიდე. გითვალთვალე, დიდი გეტსბი ვარ!

უცნაურია, რომ სიცოცხლეს მკვდარიც ვაპირებ. და ველოდები, გამაბრუო ტკბილი ტყუილით, რომ კვლავ გიყვარვარ, გამოჩნდები და მეც ლეკვივით კრუსუნს დავინყებ. ბრწყინავს შენი ოქრო-ღუმელი, მეც მდუმარე ვარ, გისოსებში გამოკეტილი. ვიცი, სუსტი ვარ, შენს თვალებში ამოვიკითხე, ჩიტის გული მაქვს: მსხვრევადია, როგორც კრამიტი. და ამიტომაც არ გვეწერა ერთად დიდი დღე, და ამიტომაც ვერ მიტანდი... და ვერც ამიტან. თითქოს დასრულდა ყველაფერი, რა მეხუმრება. შენს მოლოდინში მაინც მრჩება ღია კარები. კარის ზღურბლამდე კიბის თეთრი საფეხურები მორეცხილია ჩემი ცრემლის ნიაგარებით. მე არ მჯეროდა,

ღმერთს თუ მართლა ჰქონდა თვალები, საერთოდ ღმერთის არ მჯეროდა, რას არ ვცოდავდი. ახია ჩემზე, ქარიშხლებს რომ ასე დავნებდი, იხარეთ, მტრებო, სანიმუშოდ გაესაცოდავდი. მიყურეთ, დატკბით, იხარხარეთ, ცეცხლთან იცეკვეთ, გაერთეთ ტვისტით ან გარდელის ცხელი ტანგოთი. მთელი ცხოვრება პოეტ თავთან შებმა მინევდა, მთელი ცხოვრება პოეტისგან სადღაც გავრბოდი. ღმერთი ალაგებს ჩვენ ცხოვრებას ფერად ფაზლებად, ღმერთი წყვეტს: ვინ ვის შეიფარებს, ვინ ვის განირავს. ვილაცას, ალბათ, მზის ნათება ელამაზება, მე კი... როგორც ჩანს, იშვიათი წვიმის კაცი ვარ!

ქარის სიმღერა

დეკემბრის სუსხიც გადავიღის (ეს ბოლო თვეა). სრულდება წელი — შავი, როგორც სიბოროტეა. მე ჯოჯოხეთში ვიხრჩობოდი და ჩემი თავი შენ შეიფარე.

როგორ შეძლე? — სთქვი, დოროთეა! ბედნიერი ვარ, ცას ვუყურებ ამ კვირა დღით. ვგრძნობ, რომ სიცოცხლეს უფრო მეტად გამიადვილებ. გავეთერთდი ფიქრით: სად ვიტანჯე, სად ვიმარტივე, სად ცხადი იყო, სად სიზმარი, სად სინამდვილე... ეჰ, ეს ცხოვრება თურმე ერთი ლუკმა ყოფილა, გველეშაპივით გადაყლაპავს ისრის ქენება. ზოგი მოკვდება ყველაფრისგან უკმაყოფილო, ზოგს არაფრისგან ცა სამოთხედ მოეჩვენება! ქარი დავარცხნის ქარისგანვე ვნებულ მდელოებს, კორდებს, ნათესებს, ნასახლარებს, ნავენახარებს. ხომ მწუხარების აკლდამაა ეს საქართველო, მაგრამ ამ მწუხარში ზოგჯერ რაღაც მაინც მახარებს!



ნინო მოდრეკილაძე

სიყვარულის მრავალკუთხედი

დამრგვალდა სიყვარულის მრავალკუთხედი — ცეცხლშენთებული პოლიგონი — უნერტილო, ულოკაციო... მიგორავს, მიაქვს ეჭვის ფუთა, ხან ერთის გაზაფხულია, ხან მეორესი...

წელიწადს მხოლოდ ორი დრო აქვს, სხვა ყველა სიზმარი იყო... სიზმარი წყალმა ნაილოს, წყალი — მდინარემ აათამაშოს, მდინარე — ზეცამ აიტაცოს, ცამ ხასიათში ჩამისახლოს... მე მინდა, „ზე-მე“ ვიყო... ერთად ყველა დიდი ამბოხი, ერთად ყველა რთული შეკითხვა... სიყვარული, სადაც მართალი განისვენებენ. წასულთა მოსვლა სანატრელი — მაგრამ... უმიზნო.

დრომ იცის ყველა გულის ახსნა, ყველა გულს ოდესღაც გასაღებივით ერგებოდა, მაგრამ უანგს არა დაეფიცება — დროის ობიექტურ სეკუნდანტს. დამრგვალდა სიყვარულის მრავალკუთხედი, ნუთუ ყველა გვერდი იმდენად ტოლია, ან ყველა კუთხე იმდენად მართი, რომ ერთი მრავალს ვერ ამჯობინე... ერთი — მარადი გაზაფხული, ყველაზე წრფელი.

F63.9...

სიყვარული ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ფსიქიკურ დაავადებათა სიაში ოფიციალურად შეიყვანა და კოდის მინიჭა — F63.9...

ჩემი დიაგნოზი ქრონიკულია. მწვავე. საჭიროებს ხანგრძლივ პოეზიო-თერაპიას, დროდადრო ჩაფიქრებებით, გარინდებით, ხელიხელჩაკიდებით, მხარზე თავის ჩამოღებით, ჩამოსვენებით, მსუბუქი ამბორით. არავის აზიანებს ეს მდგომარეობა, — გამძლეობაზეა... რადგან მეორე შანსი, აქ, უბრალოდ, არ არსებობს. როცა მდგომარეობა მწვავედება, უკონტროლობა მენწყება: ემოციების, ქცევების, მეტყველების...

ზოგჯერ პირიქით მჭირს:
 უემოციობა, უქცევობა, უმეტყველობა.
 დავეჯდები ფანჯარასთან და ცრემლებს ვცლაპავ.
 ყავის ფინჯანი,
 სადაც თეთრ ფაიფურზე ლურჯი ჩიტები გალობენ,
 სუდარასავით მისვენია უსუსურ თითებზე...
 ჩიტები გალობას წყვეტენ და ჟივუივებენ:
 და მწუხარე ნისკარტებით ამბობენ:
 „შეტევა აქვს“, „ისევ დაენყო...“
 ნახატი ჩიტების ენა უფრო მესმის,
 ვიდრე ადამიანების.
 არ ცდებიან ლურჯი ჩიტები,
 ისევ მენწყება დაკარგული თავის ძიება.
 ვფიქრობ, სად დავტოვე
 ყოფის აბურდული ძაფის გორგალი,
 რომ ვიპოვო და ცერა და
 საჩვენებელ თითებზე ამოვიხვიო...
 ძაფია, სულის ნაკერებზე გამომადგება...
 დიაგნოზი მკაცრია:
 ზემგრძნობლობა —
 აუდიალურ და ვიზუალურ გამალიზიანებლებზე,
 ქვემოგრძნობლობა —
 კინესთიკურ, ტაქტილურ — შეხებაზე.
 ვის არ უყვარს მოფერება...
 თუ ხელები გულის სათქმელს გეუბნებიან.
 ყალბი ხელებიდან უნდა გაიქცე.
 გაქცევა შენს თავს რომ გჩუქნის.
 ნეირონების შემოტევა ტრანზიტულია,
 თალამუსი,
 პიპოკამპი... მოკლედ, ტვინის ამბოხია.
 გაქცევებს შორის გაკიდული ჩემი დამფრთხალი გული
 დროდადრო ებრძვის
 პიპერტენზიას,
 არითმიას,
 გადაღლილობას...
 დანიშნულება ბუნდოვანია.
 განმეორებითი კვლევა — სხვა ცხოვრებაში.
 ჩემი ფსიქიკური დიაგნოზია —
 „სიყვარული“ — F63.9.
 მაგრამ ამის მიუხედავად,
 მე შემძლია, „არ მიყვარდე...“

არ დაუჯერო ლექსებს

არ დაუჯერო ლექსებს...
 გრიმასებით პირმოპრანჭულებს,
 ნალმა — ტრაგედებს,
 უკულმა — კომედიებს.
 ტექსტებს,
 ქვეტექსტებს...
 გულისამაჩუყებელ რეფრენებს...
 არ ნაიკითხო
 მიწისფერი, მკვდარი სიტყვები,
 მზეზე ტალახი
 ვერ ინედლებს,
 ხმება. ხრიოკებს
 შენი გული ხომ გამოექცა
 ერთხელ და ბოლოს.
 ნუ შეიფარებ სხინაკლულ სიტყვებს,
 იციან, როგორ დაგაავადონ,
 განამონ,
 მოგკლან,
 რომ ბოლო ლექსიც, ეპიგრაფით,
 თოვლისფერი ვარდივით გიძღვნან:
 „უშენობაა პოეზია...“
 არ დაუჯერო ლექსებს.

„არაპის“

ისევ ამტიკვდა უშენობის
 უფერო ღამე,
 ვილოკავ შიმებს,
 ეგებ მოვრჩე,
 გადავრჩე ეგებ...
 ვით ჰორიზონტი მზის ჩასვლისას ნითელ ქრილობებს,
 ვირჩენ თვალეში
 ჩატოვებულ მზეს და ტირიფებს.
 დრომ აღარასდროს გამახსენოს,
 დრომ — შენი გზები,
 აღარც ცრემლები —
 ფეხმავალი მოგზაურები...
 თავსდატეხილი სიკვდილივით
 გამახსენდები,
 როცა მზერაში ფეთქებდიან დროთა ჭურვები.
 ყველა სიბნელე შევიბრაღე
 სინათლის ძალით
 და შენი გულიც მებრაღება —
 ყორნების მღვიმე...
 თეთრი მტვერია მოგონება,
 სიზმარ-მისანი,
 და მტვერს, სულს თუღა შევუბერავ,
 რომ შევიღვიძებ.
 მე? მე ვანთივარ ძველებურად ცის კაბადონზე,
 ღმერთს თუ ახედავ —
 დამინახავ
 ოქროსფერ ციალს...

უშენო ფიქრით მძივს ავაბამ, ის, რაც ამ დრომდე
 წარმოიდგინე, რაც ამ დრომდე არ მიფიქრია...

აპათი, ძალეპო

აპათი, ძალეპო,
 ნაიყვანეთ, თქვენი იყოს
 ეს ჩემი ნერვებით ნაძერწი კაცი...
 ათას ქარებს გამონატაცი,
 ბნელი ხეების ჭინკებისგან გამონალოცი,
 კუდიანების, ავთვალეების ერთ დროს სამიზნე,
 გულგანმენდილი,
 ხელეზმუდი,
 თვალეზმზიანი.
 მან უკვე იცის სიყვარული...
 შეძლებს, მერწმუნეთ...
 მან უკვე იცის, როდის არის ქალი მდუმარე...
 როდის ბორგავს,
 როდის ნელდება...
 რა ჰქვია იმ ცრემლს,
 გულდაგულ რომ ვმალავ უპესთან.
 უძილო ღამე
 რამდენ ნაოჭს ტოვებს სახეზე,
 ან უთქმელობის კაშპანი
 როგორ მალამებს.
 რომ მარტოობაშეჩვეული,
 დარდებჩამარცვლით,
 რა რუდუნებით ვუზოგებ
 ჩემს სულს...
 მე აღარ დავდექე ეჭვის ქარებს,
 ჩადგენ, ჩანელდენ,
 აღარ მიმოდის ჩემს ძარღვებში
 ვნების მდინარე,
 აღარ მალეღვებს ამინდები
 მისი ღიმილის,
 არც გამოხედვის უსაზღვრო და ბნელი სიშორე...
 მე აღარ ვაკრავ ცის თვალეებზე
 ღრუბლის ხილაბანდს,
 ხელჩაკიდებით აღარ მივდექე ძაფის ბილიკებს,
 მე რახანია, გამოვბრუნდი ციცაბო კლდიდან,
 გამოვბრუნდი და
 გზა გავკვალე ჩემი თავისკენ.
 აპათი, ძალეპო,
 ნაიყვანეთ, თქვენი იყოს
 ეს ჩემი ნერვებით ნაძერწი კაცი,
 მან უკვე იცის
 სიყვარული...
 სიტყვაზე მენდეთ...
 ოღონდ ამხსენით
 ყველა წყველა,
 ყველა შური,
 ყველა გათვალვა,
 ოღონდ ამხსენით
 მშვიდობის ზავით.

არჩივანი

როცა არჩივანი მკვდრებსა და ცოცხლებს შორის
 უნდა გააკეთო,
 გარდაცვლილები არჩიე...
 მართალია, ისინი არაფერს გთხოვენ,
 მაგრამ არ ელაღატებათ.
 სულერთია,
 ისაუბრებ, თუ წუმად იქნები,
 პროცესიას არ გაჰყვები თუ მინას მუჭებით მიაყრი,
 ღვინოში პურს ჩაალბობ,
 თუ პურს შეჭამ და ზედ ღვინოს დააყოლებ,
 იტირებ თუ წარბებს მწუხარედ შეიჭმუნხავ,
 იცნობდი თუ არ იცნობდი.
 „მოგათმენინოთ“,
 „შეგაძლებინოთ“,
 „ნათელი“. „სანთელი“ —
 ესეც მზა სიტყვები — არსად საძებარი...
 ცოცხლებთან კი სულ სხვა საქმეა...
 მართალია, მათ არაფერს სთხოვ, მაგრამ
 გიღალატებენ...
 მიხვიდე-არ მიხვიდე,
 როგორი „გამარჯობა“, როგორი „კარგად იყავი...“
 სათქმელი,
 მიმიკები,
 ხმის ტონი, მზერა,
 რა სწყინთ, რა უხარიათ...
 როდის უყვარხართ, როდის — აღარ...
 ან სულაც, ერთ მშვენიერ დღეს
 ვის როდის მოსწყინდები,
 ყელში როდის ამოუხვალ
 ადამიანებს —
 ასე დროებითებს.

ნეირონები

გულის ამინდებს აცხადებენ ნეირონები,
 ქუხს უშენო დღე.
 მიფრინავენ და იხოცებიან
 სინქრონებიდან ამოვარდნილი,

მარტოსულთა
 ლურჯი ჩიტები.
 ქარებს არ უყვართ უსიცოცხლო ბზე-ბუდეები —
 მიტოვებული ქოხმანები ხეთა ტოტებში
 და ვიდრე მოვლენ თოვლსდამძვრალი ფურისულები,
 რომ მომლოდინე მინას ეშვილონ,
 ზამთრის ორკესტრი ფლეიტაზე
 უკრავს საყვედურს.
 მე რომ შემეძლოს,
 ჩაგუბებული ტკივილიდან
 ოქროსფერი თევზი ამოვსვავ,
 ვთხოვდი,
 ჩემი თავი მაჩუქოს...
 გაორებული სიცოცხლესა და სიკვდილს შორის...
 რომ გადავფურცლო კალენდარი
 უშენო დღეთა,
 მზე გამოვადნო
 გულის ცრიატ ამინდებიდან...
 უსინქრონო,
 მარტოსულთა ლურჯი ჩიტები
 ჩემი თვალეების ცრემლის წყლებში
 რომ ნომადობდენ.

აცვლია

დამმართე უშენობა,
 აღარაფერი ეშველება გაფრენილ ვაგონს,
 გამოდებულს ფიქრის გორგალზე.
 ხმაურთან ერთად გაიყოლა
 სიტყვაც და
 სუნთქვაც.
 დაგუნ-დაგუნით
 გასრიალდა ცივ რელსებზე.
 როცა ვუმზერდით თვალმიშტერებით,
 რას ვიფიქრებდით,
 მას მიჰქონდა ყველა ტკიბილი
 და ყველა მწარე ცხოვრების გემო,
 ფეხებზე ლეკვივით გამობლანდული...
 დამმართე უშენობა,
 ვის არ უვლია მარტოს იმ გზაზე,
 სადაც სხვები წყვილად დადიან.
 მე ხელს ჩავკიდებ
 მარტოობას შეხიზნულ არდილს,
 მზიან ასფალტს რომ
 დააჩნია ჩრდილთა ლაციცმა.
 არ შემობრუნდე.
 იდექი ქარში,
 გირტყას ქარმა ცეცხლის შოლტები,
 გასაღვიძებლად მოქნეული,
 მაგრამ თუ გასურს, განაგრძე ძილი,
 მე უკვე მზად ვარ,
 რომ უშენობა დამემართოს,
 როგორც სასჯელი,
 აცვდია — უძრაობა მშფოთვარე გულის.



შეხარბოვებული ანდრო ბარის გრძელ მაგიდასთან მარტო იჯდა და ვისკის ჭიქას თითებით ატრიალებდა. მთელს ბარში თავად ბარმენისა და კიდევ ერთი დაკემსილ კოსტიუმში გამოწყობილი მოხუცი საქსოფონისტის გარდა არავინ ჭაჭანებდა. ჭიქას ჩამტერებულ ანდროს აშკარად ეტყობოდა, რომ რაღაც მწარე ფიქრებს სინამდვილისგან მთლიანად მოეწყვიტა და სადღაც შორს, არც ისე ლამაზ და ნათელ მხარეში, გადაესროლა. უეცრად ბარის კარი გაიღო და მალა დაამაგრებული ზანზალაჟი შეარხია. სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა თეთრ პერანგში გამოწყობილი, კეთილი იერის მქონე, ბუნწულა ვაჟბატონი და ქოშინით საყელო დაინიავა. ეს დათურა გახლდათ. მის დანახვაზე ანდრომ თავი კიდევ უფრო მეტად დახარა და ლამის მთლიანად ჩაძვრა ვისკის ჭიქაში.

— ანდრო, ბიძია, ოჯახში უკვე იციან! — სხარტად მიუახლოვდა მას დათურა და ხელისგული ზურგზე დაუბაკუნა. ანდრომ, როგორც იქნა, თავი ასწია. — არ არის ეგ გოგო ჩემი ცოლი! — კარგი ერთი! მამ, ვინ არის? — მე რავი... ხელის თხოვნა არაფერია, მთავარი ჯვრის დანერგა, — თქვა ანდრომ და ჭიქა თავს ზევით ასწია.

— ეუფ... ანდრო, მგონი, ვისკის უნდა მოუკლო. და მაინც, რა დაგემართა გუშინ? ასე თავი რით შეგაყვარა?

— არ მიყვარს-მეთქი! რომანის წერას ძალზე ღრმად შეყვები, ერთი-ორი ჭიქა დავლიე. ლიზამ რო დარეკა, კაი გაღვიძილი ვიყავი. ეჰ... სეირნობა, ვარსკვლავები, სავსე მთვარე. არ ვიცი, რას ვფიქრობდი. მგონი, თავი ჩემს რომანში მეგონა.

დათურამ ხარხარით ხელი მუხლზე დაირტყა და ბარმენს ვისკი სთხოვა.

— შენი რომანის გმირებს ედრებს? ყოველ მეორე გვერდზე სიყვარულის ახსენებია, ბიჭო... და ეს ბეჭედი საიდანაა გააძრე?

— ბუნდოვნად მახსოვს, ალბათ გასვლისას ბეზიჩემის ყუთს ვტაცე ხელი.

საქსოფონისტმა ლამაზი და ოდნავ სევდისმომგვრელი მელოდია გააჟღერა. ანდრომ ჭიქა დაცალა და დახრილი თავი დათურასკენ მიაბრუნა.

— ციოდა, ძალიან ციოდა. მისი თბილი სიტყვების ორთქლი მთვარის შუქზე წამიერად ნათებოდა... უნებურად ხელი გადავხვიე. ლექსებს ვუმღეროდი, აღარც მახსოვს, რას... მგონი, იქვე მოგონილს. რაღაც ასეთს წააგავდა..

— ლიზა, ვარდით ლამაზო, გთხოვ, მაკოცინე ხელზედა. შენი გულისთვის მოგვედები, სულს დაველე ბრძოლის ველზედა. ზურმუხტის თვალის შემკული, თვალს მჭრიან შენი მზერანი. შენკენ მოვქრევიარ ქარივით, ვითარცა ტატოს მერანი.

დათურამ შუბლზე ხელი იტკიცა.

— რა ბრძოლის ველი და რა ზურმუხტი? მაგრად გაგიფრენია. ოღონდ ჯარში არ გაგიშვას კაცმა და რას არ იზამ და თან გოგოებს ჰპირდები, ბრძოლის ველზე დავეცემო? მთლად გააგიჟე ის გოგო, არა?..


— სულ არ დაეძებდა ჩემი ბრძოლის ველზე დაცემას, ლექსი მოეწონა რა...

დათურას ძალზე ეხალისებოდა თავისი ლოთი ძმაცაცის თავსგადახდენილი ამბების მოსმენა.

ანდრო ერთი თხელწვერიანი თბილისელი ჭაბუკი გახლდათ. ბავშვობიდანვე პროზით და პოეზიით გატაცებულმა მწერლობა დაიწინა და ფილოლოგიობას მიჰყო ხელი. გავიდა წლები. ანდრო წამოიზარდა, ოჯახში კი კალამი და ფურცელი ბლომად იყო. რა აღარ დაუნერია ანდროს — პოემები, ლექსები, მოთხრობები. მის ყველა ქმნილებას ერთი რამ ჰქონდა საერთო, ისინი მუდამ სიყვარულსა და სევდას ეძღვნებოდა. ასე დაარბენინებდა ჩვენი ანდრო თავისი გულისტქმით სავსე ფურცლებს გამომცემლობიდან გამომცემლობაში, მაგრამ მისი ფურცლების წიგნად აკინძვა არავინ ინდობა. ხან რას უწუნებდნენ და ხან — რას. ზოგმა: ზედმეტად ეკლექტიურიო, ზოგმა: ეს სასიყვარულო მითები ხომ ისედაც ბლომად გვაქვსო, ხოლო ზოგი ამბობდა: ეს მწერალი არ არის, უბრალოდ, შეყვარებულია და ამიტომ წერსო. აი, ასე ისტუმრებდნენ უკან დაღონებულ ანდროს. და მართლაც... იყო თუ არა ანდრო შეყვარებული? ხოლო თუ იყო, ვისზე? ოო... ჩემო მკითხველო, სწორედ ამ თავსატეხის და-

ლაშქერას ვეცდები ჩემი მწირი მოთხრობით.

გამომცემლებისგან განსხვავებით, ანდროს შემოქმედება პოპულარობით სარგებლობდა ქალთა შორის. თავისი გამჭრიახი ენით და მომარჯვებული ვარდებით ყველა მანდილოსნის გულს სწვდებოდა. კვირა არ ჩაივლიდა ისე, რომ ანდროს ვინმესთვის სიყვარული არ აეხსნა. დიდი კიბის მიდგმა იცოდა სახლის კედელზე; ხოლო თუ აივანი არც მთლად ისე მალა იყო, პირდაპირ ძვრებოდა და აივნიდან იწყებდა ლექსის კითხვას, რასაც მუდმივად ვარდების ჩუქება და ოქროს სიტყვები მოსდევდა: მიყვარხარ... თამაში, სალომე, ელენე, თინა... და ასე შემდეგ.



მიხვდით, ალბათ, რომ ანდრო კონკრეტულ გოგოზე კი არა, თავად სიყვარულზე იყო შეყვარებული — სიყვარულის იდეაზე, სიყვარულის ახსნაზე, სიყვარულზე ფიქრზე, სიყვარულზე წერაზე, მარტივად რომ ვთქვათ, ის სიყვარულის მოტრფიალე გახლდათ. ანდროს გულს ავსებდა თითოეული გოგონისთვის განზრახ შეთხზული ლექსი ან პოემა და გოგოებიც საკმაოდ ბედნიერნი იყვნენ ამ ამბით. ბევრი იცნობდა ანდროს ბუნებას. ჩვენი „უიმედო რომანტიკოსის“ სახელი მთელ თბილისს მოედო. გოგოები ერთმანეთში ტრაბახობდნენ ანდროს მიძღვნილი ლექსებითა და ჩანახატებით. ზოგი ბედავდა კიდევ და თავად გამოუტყდებოდა ანდროს სიყვარულში, მაგრამ აქ ხომ ანდროს განზრახვა დასრულებული გახლდათ. მისი გონება უკვე ახალ გოგოს, ახალ პოემას და ახალ ვარდებს გაეტაცა.

ანდროს არც კი უფიქრია ლიზასთვის სიყვარულის ახსნა და, მით უმეტეს, ხელის თხოვნა. ისინი ხომ სულ პატარები დამეგობრდნენ. ეზოში გაიცნეს ერთმანეთი, სადაც ანდროს „ეზოს პოეტის“ ნოდება ჰქონდა. ზედმეტსახელად „გიჟპოეტისა“ კი უძახოდნენ ხოლმე. საკვირველია და, ლიზას არასოდეს მიუღია ანდროს ნაშრომი. როდესაც ეზოელები ამის მიზეზით ინტერესდებოდნენ, ანდრო გაიძახოდა: მეგობრობაზე ვერ ვწერ, თორემ როგორ არ მივუძღვნიდი რამესო. გავიდა წლები, ახალგაზრდები ეზოს ასაკს გამოემშვიდობნენ და თავიანთ გზას დაადგნენ. ანდროს ამბავი კი იცით. ლიზა ექთნად მოეწყო შავი ზღვის იქით. მზინავე, შავი თმა წელამდე სწვდებოდა, თუმცა იშვიათად თუ ნახავდით თმაგაშლილს, მუდამ შეკრული ჰქონდა. მისი მწვანე თვალები სინათლეზე თითქოსდა თავად ნათებოდა. და ღიმილი?

მისი გაღიმება და ოთახის ალიონივით ანთება ერთი იყო. თუმცა ამასაც ვერ წაანყდებოდით ხშირად, შრომით დაღლილს და დაქანცულს გაღიმების თავიც არ ჰქონდა. ლიზა თბილისში ჩამოსულიყო და იმ საბედისწერო ღამეს თავისი ძველი მეგობრის ნახვა ისურვა...

მოხუცი საქსოფონისტი კვლავ აგრძელებდა სევედიან მელოდიის დაკვრას. მოხიბვით დათურა თანდათან სკამის კიდევ მიჩორდა და სმენად იქცა.

— მერე?.. — მდუმარე ანდრო გაბრუნებული მისჩერებოდა გამჭვირვალე ჭიქას. დათურამ ხელი მხარზე სტაცა და შეარხია, — რა დაგემართა?

ანდრომ თავი მძიმედ მოაბრუნა.

— აბა, რას იტყვი? — სულელო!.. — მიუგო ლიზამ თავისი ნაზი და ხავერდოვანი ხმით და ხელი მხარზე დაჰკრა.

— არ მოგეწონა?

ლიზამ სათანადო სიტყვებს ვერ მიაგნო და პასუხად ანდროს გადაეხვია. ანდრომაც ჩაიკრა გულში. ბავშვობის მეგობრები იქვე ხის ძირას მოკალათდნენ. ანდროს თავი ლიზას კალთისთვის მიეფხინა. მისი კალთიდან დანახული ზეცა თეთრი ვარსკვლავებით მოჭედულიყო, ხოლო მათ შორის ორი მოზრდილი, ზურმუხტისფერი ვარსკვლავი ანდროს დაჰყურებდა. უეცრად მას ძალზე უცხო განცდა დაეუფლა. მორიგი სიყვარულის ახსნის შემდეგ მისი ფიქრი სხვა შორეულ სამყაროს აღარ ესტუმრა, იგი ისევ და ისევ ლიზას დასტრიალებდა.

— ნეტავ სად გადის ზღვარი ერთად ყოფნასა და არყოფნას შორის?

— რა?.. — ჰკითხა ლიზამ გაკვირებით.

— ზოგჯერ ფორმალურად მოდის... „ვიყო ერთად?“ ხოლო ზოგჯერ კი განგება დღითიღე ხატავს წყვილს ერთ ტილოზე... და მაინც, სად ვართ ჩვენ ამ ტილოზე?.. ვარსებობთ თუ არა?

ლიზას ეს კითხვა ეუცნაურა. გულით სურდა ამ განცდის გაზიარება, მაგრამ ველარ გაერჩია ანდროს გულწრფელი სიტყვა მისი სამიჯნურო ზღაპრებისგან.

— არ ვიცი, ანდრო.

ეზოელები ხის ძირას კიდევ მცირე ხანს გაჩერდნენ. წარსულის მოგონებით ართობდნენ ერთმანეთს. ხან ანდროს ჩაეცინებოდა, ხან კი ლიზას დაუეცნა კისკისი გაათბობდა იმ სუსხიან და ულმოებელ არემარეს. ანდრომ ლიზა სახლამდე მიაცილა, თავად კი სიცივითა და სიმთვრალით განამებული შინ ძლივს მიჩანჩალდა.

დაკვრიტ დაქანცული საქსოფონისტის მელოდია თანდათან მისი კოსტიუმით დაკუჭულს და გახუნებულს დაემსგავსა. დათურა ამდგარიყო და პაპიროსით ხელში ბოლთას სცემდა, ხოლო ანდრო ისევ ისე იჯდა და თავის თხელ წვერს ეპოტინებოდა. მორიგ წრეზე წამოსული დათურა ანდროს სიახლოვეს შედგა.

— რას იზამ ხელა, ტო?

— არაფერს... გოგოსთვის ნაჩუქარი ბეჭედი უკან ავილო? თან მიფრინავს... ცხრა მთას იქით, ღმერთმა იცის, როდის გადავეყრები.

— მიფრინავს?!

— ჰო, დღეს, ოთხზე, მგონი, — ანდრომ წუხილით მიუგო.

— და საერთოდ ბეჭედი საქმე?.. თუ ასეთ გუნებაზე რამ დაგაყენა?

ამ შეკითხვის გამგონი ანდრო ღრმა ფიქრს მიეცა. მან თავის გულს დაუნყო ქექვა პასუხის პოვნის იმედით. საბოლოოდ მიაგნო იმას, რომ ლიზას ნახვას ბეჭდის გამო კი არა, სხვა მეტად უცხო გრძნობის კარნახით განიცდიდა. პირველად ცხოვრებაში მისი გონება არ დაეძებდა ახალ პოემას, ლექსს, რომანს და ვარდებს. მართალია, ანდროს არ ახსოვდა გასული ღამე სრულად, მაგრამ ლიზასთან ხის ძირას გატარებული დრო დაინახული სიზმარივით უტრიალებდა გონებაში. სიყვარულისადმი ლტოლვით დაბრმავებულმა ანდრომ ჭეშმარიტ სამყაროში გამოიჭყიტა და ლიზას გაუსწორა თვალი. მერე კი გახარებული ქარივით წამოვარდა სკამიდან.

— არის!

— რა არის? — იკითხა ანდროს წამოხტომით შემოვარდნილ დათურამ.

— არის... ამქვეყნად ის, რაც მიხსნის ამ სიყვარულის ლაბირინთიდან.

— რა?

— რა და, შენ, ტო... რა დაგემართა?

— ლიზა?!

ანდრომ თავის პალტოს სტაცა ხელი და კარისკენ გასწია, ლამის გასული იყო, როდესაც მკვეთრად გაისმა ყრუ ნკარუნის ხმა იატაკიდან. ანდრო მობრუნდა, მის ფეხთან ბრჭყვიალა აღმასის თვლიანი ბეჭედი მიგორდა — თურმე პალტოს შიდა ჯიბეში ჩაუდგია და სულაც არ გახსენებია გასული ღამის მის შესახებ. ანდრო დაიხარა და ბეჭედი აიღო, შემდგომ გაოგნებულ დათურას გახედა.

— შენ ხო არ აფრენ?! — წამოიძახა დათურამ.

— ეს რა დამემართა?!

— აკი, გოგოს სიყვარულს დავპირდი და მუხლი მაქვს ტალახში მოთხვრილი?

— დაეპირდი!
ანდრომ მუხლთან ხელი მიიტანა და ლაქას დაატოლა. მისი მტევანი ზუსტად ლაქის ტოლი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, გუშინ მინდვრის ყვავილების კრებით გატლახიანებული ხელი ზედ მუხლზე შეინმინდა. ანდროს თვალწინ გაუელვა იმ სიზმრად ქცეულმა საღამომ.

— უნდა დავენიო...
— სამია უკვე.
— ნუთუ გამიფრინდება?
— ტრანსპორტით შანსი არაა, ვერ მისწვნივ.

დალონებული ანდრო ბარის მაგიდას მიეყუდა და მხრები ჩამოყარა. ამ დროს საქსოფონისტმა დაკვრა შეწყვიტა და ანდროს დაუსტვინა.

— ანდრო, რა ხანია, ამ ბარსა ვარ მიჯაჭვული. ვუკრავ და ვუცდი, როდის მომაკითხავს ცელის პატრონი, მარა შენისთანა კაცის ამბავი ჩემს დღეში არ გამიგონია. იყო დრო... მარდი მკლავით და მარჯვე გონებით მოვუყვებოდი თბილისის ქუჩებს, შენსავით მიჯნური და გზადაკარგული. მაგრამ არც მთლად ასეთი მაგარი აღმოვჩნდი, გამისხლტა და გამიფრინდა ჩემი მოჭიკჭიკე მერცხალი... ამას აღარაფერი ეშველება, მაგრამ შენ მაინც მოუსწარი შენს სანუკვარ ჩიტუნას და თუ ფრენაა, ერთად გეფრინოთ ანი მუდამ.

საქსოფონისტმა ჯიბიდან „ჟიგულის“ გასაღები ამოიღო და ანდროს გადაუგდო. გაკვირვებულმა ანდრომ გასაღები ციდან ჩამოსხნა და ხანდაზმულ კაცს თავი ღიმილით დაუქრა.

— კანტორასთან დგას, ლურჯია.
— გაიხარე, ბაბუ... — ნამოიძახა ანდრომ და ბარიდან თავქუდმოგლეჯილი გავაარდა.

— აბა, შენ იცი, ანდროკ!.. — თან გააყოლა ეს სიტყვები დათუჩამ უკვე კარს გაცდენილ ანდროს.

თვალის დახამხამებაში ანდრო უკვე მაგისტრალზე მიაჭენებდა ძველ, გაჩანაგებულ „ჟიგულს“. მას ლიზასთვის მიძღვნილი ლექსი მოაგონდა და ომახიანად წარმოთქვა.

— შენკენ მოვექრივარ ქარივით, ვითარცა ტატოს მერანი.

მანქანა იქვე, აეროპორტთან, მიაგდო და შენობაში შეიჭრა. ლიზას პოვნის იმედით აქოშინებული თვალებს აცეცებდა. უეცრად, მოშორებით, პასპორტკონტროლის რიგში, შავგვრემან გოგოს მოჰკრა თვალი. ლიზას მსგავსი მწვანე მანტო ჰქონდა მოსხმული. ანდრო მისკენ გაეშურა. ხალხს შორის შემოდგომის ქარით ატაცებული ფოთოლივით მიფარვებდა.

— ლიზა!.. ლიზა!.. არ ნახვიდე!
ლიზა შეტბა და მობრუნდა. მისკენ თითქოსდა საკნიდან გამოქცეული ანდრო მიიწევდა. გათანგული ჭაბუკი ლიზას მიუახლოვდა და რიგის ჯვებრთან შედგა.

— ანდრო?.. მშვიდობაა?..
— არა, ლიზა... ვკვდები!
— ვაი... ანდრო, რა ხდება?
— ჩემი მერცხალი მიფრინავს და ჩემი გული თან მიაქვს.

— ეჰ... ანდრო, რა საყვარელი ხარ... ლექსი და ვარდები?

— არა, ლიზა... არც ლექსი მაქვს და არც ვარდები, მხოლოდ შენდამი ტროფობა დამრჩენია.

— შენი ტროფობა ხომ უკვე ყველა გოგოს გაუზიარე? შენ ხომ ყველა გიყვარს და თან — არავინ.

— მართალია, თვით სიყვარულს დავდევი კუდში ეს მრავალი წელი, ხოლო გუშინ შენი კალთიდან დანახულმა სამყარომ თვალი ამიხილა. ნუთუ მხოლოდ მე გამილღვა გული იმ საღამოს?

— არა, მაგრამ...
საგონებელში ჩავარდნილმა ლიზამ სახე ხელებით შენიღბა. რიგი წინ სწრაფად მიიწევდა. ანდრო ლიზას გვერდიდან არ შორდებოდა. გარშემო მყოფი ხალხი გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს ლიზას და ანდროს დიალოგს.

— დარჩი... გთხოვ...
ლიზას წინ, რიგში, დედა-შვილი იდგა. ცნობისმოყვარე ბავშვმა თავი მოაბრუნა და დედამისს პერანგზე მოქაჩა.

— დე... ლიზა მიღის?
— არ ვიცი, დე... აქეთ მოიხედე, — უთხრა დედამ და თავი წინ მიაბრუნებინა. ანდრომ ბავშვს გაუღიმა.

— Следующий! — დაიყვირა სასაზღვრო კონტროლის ოფიცერმა ქალმა.

დედა-შვილი უმალ ჯიხურთან მივირდნენ. ოფიცერი მკაცრი და ცივი გამომეტყველებით დახვდათ. ფორთოხლისფერი ჯემპრი კისერს უფარავდა, ხოლო ჭაღარა თმა და ვინროშუშიანი სათვალე კიდევ უფრო სასტიკ იერს სძენდა. ოფიცერმა დედა-შვილს ბეჭდები დაურტყა და გაატარა.

— Следующий! — ამჟამად უფრო ხმა-მალლა წარმოთქვა ოფიცერმა.
მოვიდა ლიზას ჯერიც. მან ოფიცერს ზურგი აქცია და ანდროს მიუბრუნდა.

— ბოდიში... — მიუგო მწუხარე ხმით და ლოყაზე ცრემლმა ჩამოურბინა.
ლიზა დახლს მიუახლოვდა, ოფიცერმა მასაც უხალისოდ ჩაურტყა ბეჭედი და მანაც თვითმფრინავისკენ გასწია.

დალონებულმა ანდრომ თვალი იქამდე გააყოლა ლიზას, სანამ ხალხის ბრბოში არ ჩაიკარგა. მერე კი იქვე ფანჯარასთან დადგა. თითქოსდა მისთვის სამყარო ყოველგვარი ფერის, ხიბლის და ბედნიერებისგან დაიცალა. იფიქრა — რაღა დამრჩენია? ჩემი მერცხალის გაფრენას მაინც გავაყოლებ თვალსო.

ანდრო ფანჯრიდან დაჰყურებდა თვითმფრინავს. კიდევ მცირე ხანი გავიდა, ხოლო „ბოინგს“ კვლავ არ იძვროდა. უეცრად მთელს აეროპორტში გაისმა.

— Элизабета Шенгелия, последний шанс подойти к выходу 7, рейс 4727.

ამის გაგონებაზე ანდროს გული შეუტოკდა.

— მგონი, ვარსებობთ ჩვენ იმ ტილოზე, — მოესმა ზურგს უკან.
დაფეთებული ანდრო მაშინვე მობრუნდა.

— რა ტილოზე?.. — ანდრო ამ კითხვამ დააბნია, ხოლო ლიზას გამოჩენის სიხარულს ვეღარ იოკებდა.

— აი, რომელიზეც განგება დღითიდლე ხატავს წვილს.
ანდროს ხის ძირას დასმული თავისი შეკითხვა მოაგონდა და სახე გაუნათდა. მის ბედნიერებას საზღვარი აღარ ჰქონდა.

— ვარსებობთ?!
— ვარსებობთ.
ამის თქმა და მათი ერთმანეთის გულში ჩაკვრა ერთი იყო...



კოკა წულაია
მეტავოცია

დასასრული

— მე ჩემ აზრს გეტყვი ახლა და შენ გადაწყვიტე.
— გისმენ, ძმაო, — იქედნურად პასუხობს ახვარი.

— ამდენი არ უნდა მოგეგოთ ახლისთვის, არ მგონია, ეგ ფული მიიღოთ და შეირგოთ, — ბოლო წინადადებას ხმადაბლა ამბობს ჩვენნი ბიჭი.

— ამ შემთხვევაში აზრი არ აქვს შენს ნათქვამს, ნაგებულში უნდა მოვიდეს! — ყველას გასაგონად ხმამალა პასუხობს „პატარა კაცი“.

ასეთი საუბარი ციხის კედლებს გარეთ რომ მიდიოდეს, ლამაზს მარჯვენა მუშტი უკვე მოქნული ექნებოდა, მაგრამ ნოდარიჩს ამით ვერ დაეხმარება.

— მაშინ მე და შენ ვითამაშოთ! ნებისმიერი რამ, გინდაც ხელი გადავიწოთ, ან ვიჩხუბოთ ერთი ერთზე, ან თქვენ ორნი და მე, — სიმკაცრე ერევა ჩვენი ბიჭის ხმაში.

— თამაშს მიცხადებ, ძმობილო? ამის გამო? — ნაგებულისკენ იხედება. ნოდარიჩი გასუსული უსმენს მათ დიალოგს.

— ხოო, მაგის გამო და იმის გამოც, როგორ მოუგეთ ეგ თანხა!
ეს უკვე პრეტენზიაა.

— არა, ჯიგარო, მე შენთან თამაში არ მინდა და არც ურთიერთობის გაფუჭებას ვაპირებ, — საკმაოდ დათაფლული ტექნიკურად გვერდს უვლის წარმოთქმულ შენიშვნას.

— რატომ, ჩემი ფული არ იქმევა თურაა?
— შენზე „ელდარიჩმა“ მთხოვა, მის სიტყვას ვერ გადავალ.

— მაშინ მე მაჩუქეთ ეგ ფული და ხომ იცი, სიკვდილამდე შენი მოვალე ვიქნები, — უკვე თხოვნით აგრძელებს ლამა.

— ეგეთი არც ახლობლები ვართ მე და შენ, ამდენი ფული რომ გაჩუქო და არც შენზე მთხოვნელს (თითს იმვერს ჭერისკენ, ქურდებს გულისხმობს) მოუცია ამდენი უფლება ჩემთვის.

— ესე იგი, ყველაფერზე უარს მეუბნები.
— ეგრე გამოდის, ჯიგარო, დავრჩეთ მეგობრებად.

ამ დღიდან ამ სიტყვას სიკვდილამდე შეიძლება ჩვენი ბიჭი. უნდა უპასუხოს სუსტის მჩაგვრელს, შენი მეგობრის დედასაც შეე...ოო, მაგრამ ენას კბილს აჭერს და საკნის ბოლოსკენ გადის. მიუხედავად იმისა, რომ არ ენევა, რომელიღაც პატიმარს სთხოვს მყრალ სიგარეტ „ასტრას“ და აბოლებს. მწარეა ეს ოხერი, ფიქრობს ლამა, ცხოვრებასავით. უსუსურობისგან ყმული უნდება, შეუსრულებელი სურვილია. ნანერვიულებს და გასაავათებულს ლოგინზე წამოწოლისთანავე კისერი სტყდება...

სიმწარე აღვიძებს ზახარიჩს. როგორ ჰგავს იგი ორმოცი წლის წინ მოწეული რუსული სიმყრალის გემოს. სავარძელში ზის, ახსენდება, წინა საღამოს, სტუმრების გაცილების შემდეგ, არაფრით არ გაჰყვა ხათუთას საძინებელში, მაცალე ჩემს ცხოვრებაზე ფიქრო. დღეს ხომ კვირაა. ახალ ტანსაცმელს იცვამს და ორთაქალისკენ მიიჩ-

ქარის. ერთი აზრი უტრიალებს თავში და როგორ მოახერხოს ამის შესრულება, გონებაში ხარშავს. საბედნიეროდ, საცობები არ არის და მალევე მიდის დანიშნულების ადგილას.

ეკლესია სავსეა, წირვა დასასრულს უახლოვდება. მამა დავითი ამბიონიდან ქადაგებს, სამართლის შესახებ იგავ-არაკს განიხილავს მრევლთან. მოყვასისადმი სიყვარულს მოუწოდებს ყველას. პირდაპირ გულში ხვდება ეს ქადაგება ზახარიჩს. წირვის დასრულების შემდეგ მოძღვარი გამოდის საკურთხეველიდან და პირდაპირ ზახარიჩს მიმართავს:

— უფალს ძალიან უხარია თქვენი ტაძარში მოსვლა, ის მუდამ ჩვენს გვერდით დგას. მთავარია, ზურგი არ ვაქციოთ მას. გეტყობათ, რაღაც განუხებთ, შეგიძლიათ, მენდოთ და მომიყვებთ. რასაც ჩემთან იტყვით, მხოლოდ ჩვენ გვეცოდინება, მამაზე-ციერმა ისედაც იცის ყველაფერი. აღსარება შევებას მოგცემთ. აი, აქ ჩამოვხსნებთ და გისმენთ.

— არც კი ვიცი, როგორ დავიწყო, — და იწყებს თავისი ცხოვრების შეუღამაზე-ბელი ისტორიის თხრობას. ნოდარიჩის ამბის მოყოლისას სახეც ეცვლება.

— იცით, რა ქნა, მამაო, იმ უბედურმა? — უკვე ხმამალა აგრძელებს მდგომარეობიდან გამოსული, — ღამით თავზე გადასაფარებელი ნაიფარა და პურის საჭრელი დანით ყელი გამოიღადრა! ჩემი ბრალია, მამაო, ჩემი, ვერ ვიხსენი განსაცდელისგან, ვერ გადავარჩინე! უნუ-პუნუ კი არ უნდა დამეწყო, პირდაპირ უნდა დავჯახებოდი იმ არაკაცებს, მოტყუებით რომ მოუგეს ცხოვრება, სულ თავ-პირი უნდა დამემტკვრია მაგათთვის და მერე ყველასთვის უნდა მომეყოლა მათ არაადამიანურ, ციხის ენაზე არაქურდულ, საქციელზე. პასუხი უნდა მომეხოვა ჯუჯუნჩისათვისაც, მაგან მისცა ბრძანება ცუგრიებს. მაგრამ ვერ აღმოვჩნდი მაგარი ბიჭი, როგორც ყველას ვგონივარ, შემემინდა დინების წინააღმდეგ ცურვა, — აქ უკვე ხმა უწყდება, თვალთ უბნელდება და ნისლი ეხვევა.

წყლის ნვეთების სხურებას გრძნობს. ქუთუთები ისეთი დამძიმებული აქვს, რომ თვალს ძლივს ახელს. სკამზე მჯდომს მამა დავითი ნაკურთხ წყალს ასხამს. ცოტა ხანში უკეთესად ხდება, ცივი წყალი აფხიზლებს. მოძღვარი ინტერესდება, თუ როგორ გრძნობს თავს, დამაკმაყოფილებელი პასუხის მიღების შემდეგ შენდობის ლოცვას უკითხავს და საკუთარი ავტოთი სახლში წაყვანას სთავაზობს ზახარიჩს.

— მადლობა, მამაო, უკვე კარგად ვარ და, მგონი, იმაზე უკეთესად ვარ, ვიდრე აქ მოსვლამდე.

— უფალი გენოედეს, შვილო ჩემო, ნებისმიერ დროს შეგიძლია, მომმართოთ და თუ უფრო ხშირად განახავთ ტაძარში, გამახარებთ.

შემდეგ ერთმანეთს ემშვიდობებიან, უკვე როგორც ძალიან ახლობლები. ზახარიჩი ქოქავს ატოს და რაღაცნაირი სიმსუბუქით ტოვებს იქაურობას.



ში დაიკარგო, ვაკე კი სულაც არ მიგიჩნევს თავისი ქუჩების ღირსად... თბილისი ენერჯიულად კი არ იღვიძებს, იზმორება, მერე კი საგაყეთივით ახმაურდება და ასე შემდეგ.

საბა ხომ თვრამეტწლიანი განშორების შემდეგ ექსტრემალური სიტუაციის სრული ვიზუალიზაციის პირობებში ბრუნდება. ისედაც აწინილ, ზომაზე მეტად გადატვირთულ ქალაქში წყალდიდობაა, რომელსაც უცნაურ მარკერად ბეჭემოთი „ბორია“ (სინამდვილეში „ბეგო“ ერქვა) გასჩენია; ქუჩებს მოსდებიან მგელ-მელიები, ვეფხვი „არტიომა“, ექვსიდან სამი გადარჩენილი პინგვინი, სადაც შორს კი ხეს ჩახუტებული დათვი „მიშა“ მოჩანს. 2015 წლის წყალდიდობა — ეს თავისთავად ტრაგიკული მოვლენა — ავტორის მიერ აქცენტების მანიპულირებითა და ქრონოტოპული ინტერვენციით (რომანში იგი 2011 წელსაა გამოტანილი) დაუფერებელი რეალობის მხატვრულ ანალოგს ქმნის.

ქრონოტოპის პოზიციიდან შეგვიძლია, განვიხილოთ აგრეთვე ტექსტში გავლებული კიდევ ერთი მკვეთრი ხაზი, რომელიც ასევე მთელი რომანის მზარდი დინამიკის მაპროვოცირებელიცაა. ეს, როლან ბარტის დეფინიციით, ის ნარატოლოგიური პარადოქსია, რომელიც „ორ ურთიერთსაპირისპირო მოვლენაზე, სიკვდილ-სიცოცხლეზე, იგება და გამოთქმის შეუძლებელ აქტად“ ნარმოვადგება (როლან ბარტი, ედგარ პოს ერთი ნოველის ტექსტობრივი ანალიზი, ნიგნიდან: სემიოტიკა, პოეტიკა). გარდაცვლილ ახლობლებს: დედას — ეკას, დედის ძმას — ანზორს, ბავშვობის მეგობარს — ნინოს თავიანთი შემოჭრებით და პარადოქსული ნარატივით, არა მხოლოდ კომპოზიციური ფორმის შეცვლა ევალდება, არამედ მთავარი პერსონაჟის ნარმარტვა, შეგულიანება, არსებულის თუ მოსალოდნელის ახსნა-განმარტვა (ასეთივე ხერხს, თუმცა რამდენადმე განსხვავებულად, იყენებს რეალობასა და ნარმოსახვასთან ოსტატურად მოთამაშე თურქი ნობელიანტი, ორჰან ფამუქი, რომანში „მე ნითელი მქვია“). მოლაპარაკე გარდაცვლილთა შორის მხოლოდ ერთია ცოცხალი, სურია, ეკას საკუთარ ოჯახთან გაერთიანების ჩამშლელი და ისიც იმიტომ, რომ გარკვეულ პერიოდამდე საბას იგი მკვდარი ჰგონია. ცოცხლებისა და გარდაცვლილების სამყაროთა ფრთხილი ინტერფერენცირება, ურთიერთშეხება ეჭვს გვიჩენს თვით სიკვდილ-სიცოცხლის ტრადიციული განსხვავებულობის შესახებ და ახალი შინაარსით ავსებს ქართველთა მენტალურ მნიშვნელოვან, ლამის ინდივიდუალურ მენტალურ აქტთან გათანაბრებულ სიტყვას „არდავიწყება“ (ჩვენს ერთ-ერთ ტრადიციულ სადღეგრძელოში იგი თავის სინონიმთანაა შეწყვილებული: „ხსოვნა და არდავიწყება“). აშკარაა, საბაც და ლეო ვარდიანის მიერ მოგონებების სწორედ ამგვარ ტვირთს ატარებენ, თუმცა მათთვის უცხო და პრინციპულად მიუღებელი არც მისი „ჩამორეცხვისა და მთელი არსებიდან გამოწმენის“ ცდუნებაა. მხატვრულად დარღვეული ქრონოტოპის ქრილში რეგრესიული უნაყოფი ამ მერყევი სუბსტანციის გარდასახვა სწორედ გარდაცვლილ ახლობელთა სახეზე ხდება: „...ყველაფრის ასანონ-დასანონად ვინმე საღად მოაზროვნე მჭირდება. ვცდილობ, ანზორს დაველაპარაკო... — უნდა წავიდე აქედან. — მშვიდად, საბო. დანყნარდი... ეგ საჩქარო აღარაა. უკვე დაზიანდი... მათ მხოლოდ ის იციან, რომ სანდროს კვალს მიჰყვები, მაგრამ როგორ მიჰყვები, მაგის არაფერი გაეგებათ. — ღმერთო ჩემო... ანზორ, ისიც იციან, ახლა სად უნდა წავიდე. — ვითომ? ვგრძნობ, როგორ ეღიმება, — აბა, კარგად გაიხსენე: ერთადერთი, რაც ნოდარს უთხარი ისაა, რომ სადაც სოლოლაკში მიდიხარ. მეტი არაფერი გითქვამს. საკუთარი სიბრძნეით სავსე ბრაზით ვივსები... — უნდა წავიდე. ახლავე. — ერთ-ორ საათს ნაუძინე, საბო. არ გაწყენს... უჩვეულოდ მშვიდი შეხებით, ანზორი ისევ სანოლზე დაჯდომას, გაჩუმებას და, როგორცაა, დაძინებასაც მაიძულებს“. არიან უფრო აგრესიული ნარატორებიც, თუნდაც საბას ბავშვობის მეგობარი, ნინო, რომელსაც თავად ავტორიც გამოარჩევს: „გაიღვიძე, — ჩამჩურჩულებს იმ-ქვეყნიური ხმა. ეს ნინოა... სანოლიდან გარეთ მექაჩება. — აკი გითხარი, ძილში გიპოვი-მეთქი. მოდი აქ, დედიკოს ბიჭო. — სანდრო არ მოდის? — ეს ამბავი მხოლოდ მე და შენ გვეხება. ცივ, სანთლებით განათებულ თბილისში მის ხმას მივყვები. დრო არათანაბრად მიედინება — თითქოს ვილაც ათრთოლებული ხელით ასხამდეს. ხან ურჩად წინ იჭრება, ხანაც ადგილზე ქვავდება. — აქეთ დედიკოს ბიჭო. ნინოს ხმა სინდელში მიმიძღვის. მისი თამამი, ანცი შეძახილები ექოდ იფანტება ამ საზარელ ადგილას...“ რაც შეეხება ეკას, იგი საბას ძირითადად „თვალმოუშორებლად უყურებს, როგორც დედებს სჩვევიათ ხოლმე“.


ერთ-ერთ ინტერვიუში ორჰან ფამუქი სიუჟეტზე თითქმის დამცინავად საუბრობს: სიუჟეტი? იგი მხოლოდ ტრილერებს სჭირდებათ. ჩემთვის კი ანკესია და სხვა არაფერი. ლეო ვარდიანის თანამედროვე პოსტმოდერნისტული რომანის ყველა სხვა ტექნიკურ-ესთეტიკურ შესაძლებლობებთან ერთად იგი თვითდენტიფიცირებისა თუ თვითდადგენის მოუხელთებლობით აღძრული ტკივილის ამოთქმის, ამასთან კი საქართველოს, როგორც ასეთის, უცხოეთისთვის გაცნობის საშუალებაა. ამიტომაც რომანში თბილისიდან გასვლის შემდეგ პერსონაჟები სვანეთისა, შემდეგ სულაც სამაჩაბლოსკენ მიიწევენ. სვანეთი, კონკრეტულად კი სოფელი უშგული, მრავლის მთქმელი ლაკონიურობითა და იმავდროულად მკვეთრი, მსუყვე ფერებითაა დახატული: „ჩემი თვალები უარყოფს ამ სურათს. ცა მეტისმეტად ცისფერია, მწვერვალზე მბზინავი თოვლი — მეტისმეტად თეთრი. ასეთი ხედები სინამდვილეში არ არსებობს“. ეს ბუნებაა და იგი მარადიულია,

მაგრამ ადამიანის ხელით შექმნილს, რომელიც ცდილობს, აქაურ სიდადეს შეეხამოს, საფრთხე ემუქრება: „კომპიუტერული ნაშრომები... ასეთი რამეები დღემოკლეა. ოდესმე უმგულიც დაიცვება. ვინმემ უნდა აღწეროს“. განგამის შემცველი ეს ფრაზები, შესაძლოა, ზოგადად ყველა, თუმცა მაინც განსაკუთრებულად ქართველ მკითხველს უბიძგებს ვირტუალურად მაინც მიმართოს მსოფლიოს საუკეთესო ოპერატორებს, გააგონოს მათ, რომ დრო შეზღუდულია, რომ უნდა იჩქარონ! სასწრაფოდ აქეთ გამოემშურონ, რათა არ გამორჩეთ ამის ფირზე აღბეჭდვა! ასე მუშაობს რომანის შემეცნებითი მხარეც, რომელიც თვითონ ავტორს საკუთარი მხატვრული ამოცანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციად მიაჩნია.

ისე, უშგულში ცივილიზაციის პარადოქსებიც შეინიშნება, რაც სავსებით ბუნებრივი მოვლენაა და უკვე არავის აკვირვებს — მაგალითად, მასპინძლის კომპი, „ლუმელთან პატარა ბრტყელკრანიაანი ტელევიზორი დგას, ხის განივ კოჭში შეჭედებულ ლურსმანზე დიდი კამერა ჰკიდია, მაგიდაზე კი ლეპტოპია გაშლილი“. მონასტერი, ერთი ვეება მრისხანე კოშკის გარშემო შემოკრებილი შენობებისა და სათავსოების ერთობლიობას რომ წარმოადგენს, სულისა და ხორცის დაუსრულებელ ჭიდილსაც თავისებურად წარმოგვიჩენს (გავიხსენოთ გურამიშვილი: „სულია ღვინო კეთილი, ხორცი ჭურჭელი მყარია“). შავანაფორიანი ბერი თავისიხლიანი უროთი ძროხას ჰკლავს. ვაჟკაცური გაგებებითაც საუბრობს, მკაცრად და უაპელაციოდ. იგივე ბერი, მამა სურაფიმი, მზის შავ დიდ სათვალეებში უცნაურ ტურისტს უფრო ჰგავს, სულის გადარჩენაზე მზრუნველს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მტკივან თვალს გამოაჩენს და მიკი მასუსის ცხვირსახოციტ ინშენდს. ამ ყველაფრის მნახველ საბას კი არც თუ უსაფუძვლოდ ეჩვენება, რომ „ბუმბერაზი მთების ფონზე ზარების ხმა უღიმღამოდ იმისი“.

დაბოლოს, ზღაპართან მიბრუნების კიდევ ერთი, ამჯერად ფინალური მონაკვეთი, რომელსაც ქართველი მკითხველისთვის მხატვრულთან ერთად ემოციური დატვირთვაც აქვს. იგი სამაჩაბლოში ჯავის ტყიდან გადაპარვის, ირაკლის კვალის საბოლოოდ დაკარგვისა და შვილის დახსნისთვის ნოდარის მიერ გამოყვანილებულ თავგანწირვას ეძღვნება. ჯავის ტყე ნამდვილი ალქაჯის საუფლოა, რომელსაც, ქართველი მესაზღვრეების სახით, თავისი ერთგული ხელქვეითები შესაბამისად გაუაქტიურებია. თანამემამულისკენ მიმართული მათი გამანადგურებელი ენერჯია სრული სიბრძნის დემონსტრირებაა. ამიტომაც აფარებენ თავს შესაფერის „ოფისს“ — ბელადების ფოტოებით დამშვენებულ პიონერთა ყოფილ ბანაკს. გარშემო (და ეს თავისთავად თავზარდამცემი ფაქტია) ამ მიწის დაუფლებას მონყურებულთა მიერ მარილმომყრილი ყანები, უფრო, ნაყანარება გაშლილი, დიახ, მარილმომყრილები, რათა ეს ადგილები გაუდაბურდეს და ადგილობრივი მოსახლეობა აქ ვერასოდეს დაბრუნდეს. სკოლის ასევე ყოფილ შენობაში განლაგებული საბჭოთა „ლაგერისიანას“ არტეფაქტს მიმსგავსებული ბოროტების კიდევ ერთი ნარმონაქმნი, უპატრონო ბავშვთა სახლი, რომელიც ზემოთ უკვე ნახსენები ეგრეთ ნოდარული „სასტიკი ზღაპრების“ მიხედვით მშობლების მიერ შვილების ნებაყოფლობით თავიდან მოშორებას აქტი ხორციელდება. გმირები (საბა და ნოდარი) ამავე შენობაში პოულობენ ნოდარის შვილს, თინას. იგი განცდილისა და ნანახისგან ელემენტარულად დამუნჯებულია. თინა ავი ჯადოქრის მიერ დროებით შეპყრობილი და მოჯადოებული ზღაპრის ახალი არქეტეპია. ახალი იმიტომ, რომ მისი სიმბოლიკა პოსტმოდერნიზმის შემდეგ ნარმოჩენილ სიუჟეტის განვითარების განსხვავებულ კონტექსტს ერწყმის და მასში ძალდაუტანებლად იხსნება. „პოსტმოდერნიზმის შემდეგ მოდის რეალური ისტორია, რომელიც ჰგავს ზღაპარს, უფრო სწორად, რეალობას მიმსგავსებულ ზღაპარს, რეკონსტრუირებულს მართლისქმნადობის საშუალებებით... ესაა სიუჟეტი, რომელიც დაუფერებელ-აბსურდული, შესაძლოა, ფანტასტიკური ელემენტებიც მაქსიმალური ბუნებრიობით ენერება სამყაროს რეალისტურ სურათში“. ჩვენი ავტორი, ცხადია, ყოველგვარი პათოსის გარეშე, უაღრესად ძუნწი მინიშნებებით იწყებს თინას განმუნჯების, ანუ განჯადოების, პროცესის ნარმოსახვას. განჯადობა კი, ცხადია, ნარმოვადგება, როგორც პიროვნული სანყისის ჩვენში გადარჩენის ერთადერთი გზა.

ყოველთვის ასეა, კარგი ნიგნი ნარმოსახვისა და გამოცდილების ველს აფარებდა. ახლა არჩევანი მკითხველზეა, რომელი ინტერპრეტაციას მიანიჭებს უპირატესობას, რომელს უკუაგდებს და საკუთარი ალქმებით გადაფარავს.



დედა

შენ მოგყავდა გაზაფხული, მახსოვს, შენ მოგქონდა გვირილებიც, იაც, შენს თბილ ხელებს გიკოცნიდა მარტი, აპრილი კი სულში მზეს გინვდიდა, შენ მოგქონდა მაისივით დილა, გაზაფხულის შენ იყავი დარი, შენ მოგქონდა სიყვარული, ვიცი...

დღეს თუ არაფერს არა აქვს აზრი, ხვალ ყველაფერი სხვაგვარ იქნება, დღეს თუ იმედი წავართვეს, მაშინ ხვალ ალბათ ღმერთი შენკენ იქნება, დღეს თუ წაიღეს ყველა სიცოცხლე, ნუ გეგონება, რომ სხვა არ იქნება...

დროში დაკარგულ, გზაში გაცვეთილ, ომში გამოვლილ, სინმინდევ დიდო, სად აგეყარა გზები ნეტავი, რომელ სალოცავს მივმართო, ღმერთო, ვინ დააბრუნებს უმანკო ღიმილს, სულის სინმინდით ასე რომ ენთო...

მომღიმარ თვალზე მზის სხივებს დაგაფენ, გულამდე, მხრებამდე, ყელამდე, მზეებს აგინებ, ცამდეც, მთვარემდეც, იქამდეც, სადამდეც მოგანვდენ სიხარულს, სიყვარულს, სიხარულს უსაზღვროს, იმ ცამდეც ალგაფერენ, სანაცვლოდ რას ვითხოვ? არაფერს, არაფერს...

ახლა სულერთია შემოდგომა, ახლა სულერთია გაზაფხული, ახლა ზამთრის სუსხი იმუქრება, თითქოს ჰგონია, რომ ისევ ისე ვუფრთხი, ახლა სულერთია დარდიც, სევდაც სულში, რადგან ამ ყველაფერს უკვე გადავურჩი, ველარ შემაშინებს უკვე ქარიშხლები, რადგან ყველაფერი იყო უკვე გუშინ...

დასანყისიდან დასასრულამდე იყავი ჩემი ანდამარადის, დროის შუალედში გაფანტულ სივრცეში დაგატყო მხოლოდ ჩემი ვარამი, გზაბნეულმა მკითხვე ათასჯერ, როგორ ვიპოვო გამოსავალი, შენ არ იყავი, არ არსებობდი, გამოგონილი იყავ ამბავი, მხოლოდ ოდესღაც წვიმად მოსულმა დანერგე შენი იგავ-არაკი, არ არსებობდი და არც ხარ ახლა, მხოლოდ მითები იტქმოდა შენზე, მხოლოდ ოდესღაც ჩნდებოდი, მაშინ, როდესაც გული ფიქრობდა შენზე, დამთავრდი კი? ან კი დანწყე? მაშინ რა იყო ის სასწაული? მე რომ ვინამე, შევასხი ფრთები ანდამარადის უკუნისამდე...



ილია გველესიანი

გთხოვთ, შეკითხვებს ნუ დამისვამთ განსჯითა და ძიებით, მე დავხატე საქართველოს მოამაგე ძიები.

შენი სახელია მზია

შენი სახელია მზია, შენს თვალეში მუდამ მზეა. ეგ წარბები მშვილდეებია, იცინი და მშვიდედებიან; წამნამები ფარდებიან, ცრემლი რომ გდის — ვარდებიან. გაბუტული ტუჩებია, არასდროს რომ ყურდებიან. კაბებს იცვამ დედაშენის, დიდი გაქვს და მაინც გშვენის. დამჯერი ხარ... ჯიუტი ხარ... მამას გვერდით მიუდინარ. სულ ყველაფრის ყიდვა გინდა — კაბაა თუ ჭრელი წინდა. ზღაპრებით და არაკებით ბებოს ელაპარაკები. ყველა გკოცნის, გეხუტება, შენ კი სული გეხუტება, გინითლდება ყვრიმალეები, გარბიხარ და იმალეები...

შინ მისტუმრა, ციყვო

ჩამობრძანდი ხიდან, შინ მესტუმრე, ციყვო. დღეს სტუმარი ჩემი, მინდა, შენ რომ იყო. თხილი ვჭამოთ ბევრი, ვიჭოროთ ცოტა. მოგიყვები, მამამ როგორ გადამხოტრა. მაკრატელი როგორ აკრიჭინდა — კრიჭი!.. და დედიკომ თავის ველარ მიცნო ბიჭი. დამციროდნენ ზუკა, იამზე და ირა; გიამ თავზე ხელის მოსმაც დამიპირა. გამაბრაზეს ისე, ტირილიც კი მოვრთე. არ გეგონოს, ვიყო მშიშარა და ბოთე. მოგიყვები, ბებოს რომ ვპარავდი ჩირებს, ქურდობაზე სხვენში როგორ დამიჭირეს; მომიღერეს მუშტი, დამიქინეს თითი... თითქოს ვიყო მართლა ყაჩაღი და ფლიდი... გავებუტე ყველას... ვზივარ ახლა მარტო. ვერ ვერვეი სევდას, არაფერი მართობს. მოდი, ციყვო, მარტო ორივე ვართ ცოდვა. თხილი ვჭამოთ ბევრი, ვიჭოროთ ცოტა.

ბათინდა

ცა ლურჯად კამკამებს, მზე სხივებს აფრქვევს. ადექი, ხელეები რას გიღვეს თავქვეშ! არ გესმის? — გეძახის ეზო და ქუჩა!.. ამ დილას მშვენიერს ნუ აქცევ ფუჭად. ჭიკჭიკებს ჩიტი და ბულბული გალობს... დილა გაგვიტენდა, უფალი გვწყალობს!

გაფრთხილება

დააბრუნეთ, თავგებო, უკან ჩვენი კაკლები, თორემ ჩემი ბებია გემუქრებათ აკლებით. მალე ნახავთ, ხაფანგებს თქვენ სოროსთან გამართავს. მოკვდება და ბებია არ დაკარგავს სამართალს.

შეყვარებული გუ

გადაილო წვიმამ და ტყეში გამოიღარა. გარეთ გამოიტანა ბუმ ბუდიდან გიტარა. ჩამოსკუპდა ხის ტოტზე, ჩააჩუმა ბულბული: ისეთი ხმით ამღერდა, აეშალა ბუმბული. სიყვარულზე სიმღერას მთელი გრძნობით უკრავდა, რადგან თვალეებრივად მეზობლის ბუ უყვარდა. შაშვმა შავკაბიანმა თავი უხმოდ დახარა და ფოთლებზე ცრემლები დაჰაღუპით დაღვარა; სიხარული კოდალამ გულში რომ ვერ დამალა, ფულუროდან გამოძვრა, ცაში შეჰკრა კამარა. სიოც აცეკვებული ტოტებს შორის მღეროდა, რადგან მასაც გულწრფელი სიყვარულის სჯეროდა.

ავად ვარ

გავცივდი, ავად ვარ, მაცხიკებს, მახველებს. ლოგინში წოლა სულ მახრახრებს, მახველებს. აღლევებთ ის უფრო, მგონი, ჩემს მნახველებს, რომ ველარ ვისხენებ მე მათ გვარ-სახელებს. გულში მაქვს სევდა და თვალეებში ნალველი. მე თვითონ როდისღა გავხდები მნახველი.

ღარიბება

კატავ, კატავ, ნუ დახატავ, უკუდოდ და დაღეჯილს ჩვენი ეზოს ბომბორა ძაღლს მაგ ქალადზე ნაგლეჯის. ჩემზე უკეთ თვითონ იცი, მათი ჯიში რაც არის: რომ დაგაცლის მაგ ბასრ ბრჭყალებს, ქექე მერე ნაცარი.

დასჯილი ფისო

— ფის, ფის, ფის!.. — ვის ვეძახი, ვის! ფისო სახლში ზის, თვალზე ცრემლი სდის. ფაფას არ ჭამს რძის, დედა მკაცრად სჯის.

თომს ნახატი

სამშობლო რომ მიაჩნიათ ერთ საფიცარ სახატედ, — ამ ფურცელზე ხევესურები და თუმები დავხატე. ნალვლიანად ელიმებათ ძია კაცებს კაცურებს. ყელზე ჯვრები ჩამოვკიდე კობტა ჩოხაჩაცმულებს. ერთმანეთის გვერდით სხედან, მათი რიცხვი შვიდია. ხელთ თოფები უკავიათ, საბრძოლველად მიდიან.

შემდეგი ნომერი გამოვა 2025 წლის 17 იანვარს

